

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზთან



DRI 2024



EUROPEAN
ENDOWMENT FOR DEMOCRACY

პუბლიკაცია მომზადებულია ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის (EED) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს EED-ს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ინფორმაციაზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

ს
ა
რ
ნ
ე
პ
ი

შესავალი

04

მეთოდოლოგია

07



1. აფხაზეთი

08

2. ცხინვალის რეგიონი

30



3. სამოქმედო ხაზის
განვრჩობ მცხოვრები
მოსახლეობის
პრობლემები

40



შესავალი

წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აჯამებს 2023-2024 წლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობას, როგორც ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, ასევე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აგრესიული გახდა რუსეთის შეუნიღბავი ანექსიური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების შევიწროებაში და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისთვის წაყენებულ ულტიმატუმებში გამოიხატა. ამის მიუხედავად, თბილისისგან განსხვავებით, სადაც საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ორ თვეზე ნაკლებ დროში სამი მოსმენით მიიღო, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს ჯერ კიდევ არ დაუწყია 2024 წლის თებერვალში ბჟანიას მიერ წარდგენილი კანონპროექტის „არაკომერციული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც უცხოური აგენტის ფუნქციას ასრულებენ“ განხილვა. საანგარიშო პერიოდში დე ფაქტო პრეზიდენტმა თანამდებობიდან გადააყენა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა, რომელიც აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების დაუფარავ მოწინააღმდეგედ მოიაზრებოდა; თუმცა, ამის მიუხედავად, აფხაზეთის უშიშროების სამსახურებს არ შეუწყვეტიათ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებული კონტროლი.

თავის მხრივ, ოკუპირებულ ცხინვალში, სადაც რუსეთის ანალოგიური კანონმდებლობის მიღებამ 2014 წელს ფაქტობრივად გააქრო დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება და კრიტიკული მედია, ადამიანის უფლებების დაცვა უკვე აღარ წარმოადგენს დე ფაქტო ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებას.

ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის სრულფასოვანი შეფასება რთულია, რადგან ამ პერიოდში არათუ ვერ მოხერხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლა და იქ არსებული ვითარების ჯეროვანი მონიტორინგი, არამედ კიდევ უფრო დამძიმდა საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო გარემო. ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის ადგილზე შეფასების სირთულე ხაზს უსვამს ოკუპაციის ზონაში მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ანგარიშის პირველ ნაწილში, რომელიც აფხაზეთს ეხება, ოკუპირებულ რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობაა მიმოხილული. უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვამ და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის შექმნილმა ბარიერებმა პირდაპირი გავლენა იქონია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასა და მათ უსაფრთხოებაზე. ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზური პოლიციის ხელში მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა გალის მკვიდრი ვიტალი კარბაია; უკვე მეოთხე წელია, სოხუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრობაში რჩება ირაკლი ბებუა. ამავე ნაწილში არის მიმოხილული მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები. 2024 წლის მდგომარეობით, აფხაზეთში ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ აქვს ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება. რეგიონში კვლავ მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა, დე ფაქტო ხელისუფლება არ იცავს ადამიანის უფლებების ძირითად სტანდარტებს, შეზღუდულია აზრისა და გამონატვის თავისუფლება. ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების არარსებობა აფხაზეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის გადინების მთავარი მიზეზია - დემოგრაფიული პრობლემები ყველაზე მწვავედ გალის რაიონში ღვას.

ანგარიშში ასევე საუბარია ოჩამჩირეში განთავსებულ რუსეთის საზღვაო სამხედრო ფლოტზე, რომელიც, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას. მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბის გათვალისწინებით, ხელისუფლების მიერ მხოლოდ ქართული აუდიტორიისთვის დეკლარირებული ფორმალური კრიტიკული შეფასება არასაკმარისი და არაეფექტიანია.

ანგარიშის მეორე ნაწილში საუბარია ცხინვალის რეგიონში არსებულ პრობლემებზე, სადაც ცენტრალური ადგილი გადაადგილების თავისუფლების კუთხით შექმნილ დაბრკოლებას უჭირავს. ადამიანებს, რომლებმაც კონფლიქტის მიუხედავად საკუთარი სახლები არ დატოვეს, დე ფაქტო უწყებები გადაადგილების თავისუფლების კუთხით სხვადასხვა ბარიერების უქმნიან, რაც მოსახლეობის მდგომარეობას ამძიმებს და მათ სრულფასოვანი ჯანდაცვის სერვისების მიღების, საკვები პროდუქტების, მედიკამენტების შეძენის და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების შესაძლებლობას ართმევს. ცხინვალში კვლავ გამოწვევად რჩება განათლების მშობლიურ ენაზე მიღების საკითხი.

თუ ახალგორის სკოლებში სწავლა 2017 წლამდე ქართულ ენაზე, ქართული სასწავლო პროგრამით მიმდინარეობდა, 2017 წლის სექტემბრიდან სწავლება სრულად რუსული

პროგრამით ჩანაცვლდა. ახალგორში წლევანდელი დამამთავრებელი კლასი უკან-ასკნელი იყო, რომელმაც განათლება ქართულ ენაზე მიიღო. 2024 წლის სექტემბრიდან რაიონში მოქმედი ექვსი სკოლიდან ერთი სკოლა დაიხურა. ოფიციალური მიზეზი მოსწავლეების არარსებობაა. თუმცა, მოსწავლეების არარსებობის გარდა, სკოლების დახურვის უკან ოკუპირებულ ახალგორში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისა და მათი ოჯახების გაუსაძლისი ყოფა დგას. ანგარიშის ამ ნაწილში ასევე საუბარია მიმდინარე წელს ცხინვალში ჩატარებული დე ფაქტო არჩევნების თაობაზე, რომელიც მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა.

ოკუპირებული ცხინვალის მხარეს კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები. 2023 წელს საქართველოს 31 მოქალაქე გაიტაცეს, რაც 2022 წლის მონაცემებს ორჯერ აღემატება. ხაზგასასმელია, რომ დაკავებების ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მოხდა.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლომისის ეკლესიის მიდამოებში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს სოფელ კირბალის მკვიდრი საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია იმ რუსი ჯარისკაცების ვინაობა, რომლებმაც თამაზ გინტურს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურას მათთვის ბრალი არ წაუყენებია.

ანგარიშის მესამე ნაწილში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობაა განხილული. ანგარიშის ეს ნაწილი დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ 2024 წლის ივლის-აგვისტოში წალენჯიხის, ზუგდიდის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების სოფლებში განხორციელებულ ვიზიტებს ეყრდნობა. ვიზიტებმა დაგვარწმუნა, რომ მოსახლეობის ძირითად პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ სიღუბეჭირეს და სოფლების მაცხოვრებელთაგან დაცლას უჭირავს. მოსახლეობის სამუშაო ძალის დიდი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება. მოსახლეობის მკვეთრი შემცირება შეინიშნება სამეგრელოს სოფლებში; ყაზბეგის მიმართულებით საოკუპაციო ხაზთან არსებული ყველა სოფელი ნასოფლარია და მხოლოდ სამართალდამცავების საგუშაგო ან/და რამდენიმე სასულიერო პირი შეგვხვდა; კვლავ გამოწვევად რჩება სოფლების საბაზისო საჭიროებებით (წყლით, ელექტროენერგიით, ინტერნეტით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობით, ტრანსპორტით და სხვა) უზრუნველყოფა.

მეთოდოლოგია

კვლევა 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს. დოკუმენტზე მუშაობის დროს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მკვლევრებმა გამოიყენეს ინფორმაციის მოძიების შერეული მეთოდი, მათ შორის, სამაგიდე კვლევა, საველე სამუშაოები, ინტერვიუები კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და საჯარო წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზი.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის უშუალოდ ადგილზე შესწავლა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა, დოკუმენტში ასახული მონაცემების ძირითადი ნაწილი უშუალოდ ოკუპირებული გალიდან და ახალგორიდან მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, რაც წინამდებარე კვლევას განსაკუთრებულს ხდის. აფხაზეთსა და ცხინვალში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის შექმნილი რეპრესიული სამუშაო პირობები უფლებადამცველის საქმიანობას უკიდურესად სახიფათოს ხდის, ხოლო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ჩვენი პარტნიორების საქმიანობა კიდევ უფრო მოწყვლადი გახდა. შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის საკონტაქტო პირების ვინაობა და ოკუპირებულ რეგიონებში მოძიებული ინფორმაციის წყაროები, თუ ისინი საჯაროდ არ გავრცელებულა, კონფიდენციალურია. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის სანდოობის უზრუნველსაყოფად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაცია რამდენიმე წყაროსთან გადაამოწმა.

ანგარიშში ასევე ასახულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების და აფხაზეთის დე ფაქტო საჯარო უწყებების მიერ მიღებული სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი; დოკუმენტი ასევე ეყრდნობა საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას.

1. აფხაზეთი

1.1. გადაადგილების თავისუფლება.....	9
1.2. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება	15
1.3. კანონის უზენაესობის საკითხი აფხაზეთში.....	17
1.3.1. კრიმინალური მენტალიტეტი და ავტორიტეტები.....	17
1.3.2. ნარკოპოლიტიკა	18
1.3.3. სატრანსპორტო დანაშაული.....	18
1.3.4. გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულები.....	19
1.4. თავდასხმები სამოქალაქო საზოგადოებაზე	19
1.5. დემოგრაფიული პრობლემები	22
1.6. გამოწვევა უსაფრთხოების მიმართულებით - რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა ოჩამჩირეში	23
1.7. უკანონო პატიმრობა - ირაკლი ბებუა	25
1.8. სიცოცხლის უფლება - ვიტალი კარბაია	26
1.9. რუსული „რბილი“ ძალის მოქმედების ქრონოლოგია აფხაზეთში	27

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ეროვნულ-განმათავის-უფლებელი მოძრაობის გააქტიურების ფონზე, საქართველოზე ზეგავლენის შესანარ-ჩუნებლად, კრემლმა აფხაზეთში არსებული სეპარატისტული, ანტიქართული და ნაციონალისტური ძალების მობილიზება და მათით მანიპულირება მოახერხა. 1991 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთში დესტრუქციულ პოლიტიკის მხარდაჭერა გააგრძელა, რამაც საქართველოს ამ რეგიონში დაძაბული და ფეთქებადი სიტუაცია შექმნა. სამხედრო რესურსებისა და დაქირავებული რაზმების ხელშეწყობით, რუსეთმა აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია შეძლო; 1993 წლის 27 სექტემბერს ქართული მოსახლეობის მასობრივი გენოციდი დაიწყო, რამაც შედეგად 350 ათასზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური მხარე და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეულიყო. აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა დადასტურებულია ეუთოს 1994 წლის ბუდაპეშტის, 1996 წლის ლისაბონისა და 1999 წლის სტამბოლის სამიტების რეზოლუციებით.¹

1.1. გადაადგილების თავისუფლება

აფხაზეთსა და ზუგდიდს შორის გადაადგილება შეზღუდულია და მკაცრად კონტროლდება, როგორც აფხაზეთის დე ფაქტო ძალოვანი უწყებების, ასევე, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისა (ე.წ. გამყოფი ხაზიდან ოკუპირებული ტერიტორიის მხარეს) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს / საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მიერ (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მხარეს).

ოკუპირებული რეგიონებთან მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა 90-იანი წლების კონფლიქტიდან დაიწყო. ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, ე.წ. გამშვები პუნქტები დროდადრო იკეტებოდა და იხსნებოდა, შეზღუდვები მკაცრდებოდა ან პირიქით, თუმცა, 2016 წლამდე, როგორც წესი, ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებს თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად რამდენიმე გადასასვლელით სარგებლობა შეეძლოთ.

¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://abkhazia.gov.ge/public/page/conflictCronology>, [უკანასკნელად წვდომის თარიღი: 24 ივლისი 2024]

2016 წლის მარტში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა, რაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საოკუპაციო საზღვრის უკეთ გაკონტროლების მიზნით, საკონტროლო-გამშვები პუნქტების შემცირებას გულისხმობდა. სოსუმმა ახალი კანონის აღსრულება ჯერ კიდევ 2016 წლის აპრილში დაიწყო, როდესაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას მოსაზღვრე თაგილონთან და წალენჯიხის სოფელ ფახულანის მოსაზღვრე ლეკუხონაში ე.წ. გამშვები პუნქტები გააუქმა. ხურჩა-ნაბაკვისა და ოტობაია-ორსანტიის გადასასვლელების დახურვის შემდეგ, აფხაზეთის მოსახლეობას თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ ორი - ენგურის ხიდის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ფახულანი-საბერიოს (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) ე.წ. გამშვები პუნქტების გავლით შეუძლია, რაც აფხაზეთის მოსახლეობას უზარმაზარ დაბრკოლებებს უქმნის.

კოვიდ პანდემიის დროს დე ფაქტო აფხაზური უწყებების მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსგან სრულ იზოლაციაში მოაქცია. თუმცა, 2021 წლის 11 თებერვალს ენგურის და ფახულანი-საბერიოს „გამშვები პუნქტები“ ისევ გაიხსნა. გალის რაიონის გარეთ მცხოვრებ პირებს, მათ შორის, ეთნიკურ აფხაზებს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა მხოლოდ აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურის „ნებართვის“ შემთხვევაში შეუძლიათ. ამ გადასასვლელებით სარგებლობენ ეთნიკურად აფხაზი პაციენტებიც, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სერვისების მისაღებად გადმოდიან.

ეთნიკური ქართველებისათვის გადასასვლელი პუნქტების შემცირებისა და მათი პერიოდული ჩაკეტვის გარდა, პრობლემას წარმოადგენს გადაადგილებისთვის აუცილებელი² დოკუმენტების მოპოვება. 2024 წლის მდგომარეობით, აფხაზეთიდან ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე (და პირიქით) გადაადგილება შესაძლებელია დე ფაქტო (ახალი) პასპორტით, ბინადრობის მოწმობით, დროებითი სამგზავრო ვიზითა და, 14 წლამდე პირების შემთხვევაში, დაბადების მოწმობით.³ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის წესებს

² ნეტგაზეთი, „გალები გადაადგილების სირთულეებზე“, 2024 წელი, https://netgazeti.ge/south_caucasus/739287/ [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 25 ივლისი 2024].

³ საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2023, გვერდი 22, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 24 ივლისი 2024].

ადგენს და საჭირო დოკუმენტაციასა და ვიზის ტიპებს განსაზღვრავს აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული ე.წ. კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკაში შესვლისა და აფხაზეთის რესპუბლიკიდან გასვლის შესახებ“.⁴ სამგზავრო ვიზის საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლა, ასევე, შესაძლებელია ქართული ბიომეტრიული პასპორტის მეშვეობით, 10 დღის ვადით. თუმცა მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული ვიზის მიღება ქრთამის გადახდის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

ოკუპირებული გალის მოსახლეობა ე.წ. საზღვრის გადასალახად ბინადრობის მოწმობას იყენებს. ბინადრობის მოწმობები 2017-2018 წლებში იმ გალელებს დაურიგდათ, რომლებმაც რუსული პასპორტის აღებაზე უარი განაცხადეს. თავდაპირველად, ბინადრობის მოწმობის მოქმედების ვადა 5 წლით განისაზღვრა. შესაბამისად, 2023 წლისთვის, გალის მოსახლეობის დიდი ნაწილის ბინადრობის მოწმობებს ვადა გაუვიდა.⁵ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბინადრობის მოწმობების⁶ მოქმედების ვადა 2023 წლის დასასრულამდე გახანგრძლივდა.⁷ 2024 წლის თებერვლიდან ცვლილება შევიდა აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.“ ცვლილებამ ბინადრობის მოწმობების მოქმედების ვადა 5-დან 10 წლამდე გაახანგრძლივა, ხოლო მათთვის, ვისაც ბინადრობის მოწმობა არ აქვს, დოკუმენტის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი გაკეთდა.⁸

აფხაზეთის ე.წ. შსს-ს გალის რაიონული განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, ტატიანა ჩისტიაკოვამ, გალის ტელევიზიას განუცხადა, რომ ხუთწლიანი ბინადრობის მოწმობის მფლობელები შეძლებენ ვადის გახანგრძლივებას დამატებითი საბუთ-

⁴ Закону Республики Абхазия "О порядке выезда из Республики Абхазия и въезда в Республику Абхазия", 26 იანვარი 2016, ხელმისაწვდომია: <<https://sgb.apsny.land/images/PDF/111.pdf>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

⁵ Ekho Kavkaza, "Вид на жительство в Абхазии будет вновь выдавать МВД", 23 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/1Csuw>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 24 ივლისი 2024].

⁶ დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გალის რაიონის მოსახლეობა „აფხაზეთის მოქალაქეობისა“ და ბინადრობის მოწმობის გარეშე კვეთდა ე.წ. საზღვარს.

⁷ Спутник Абхазия, "Кабмин Абхазии продлил срок действия формы №9", 31 დეკემბერი 2022, ხელმისაწვდომია: <<https://dzen.ru/a/Y7BSqb7X9ndYlqF4>> [უკანასკნელად ნახვის თარიღია 24 ივლისი 2024].

⁸ Закону Республики Абхазия "О порядке выезда из Республики Абхазия и въезда в Республику Абхазия", 26 იანვარი 2016, ხელმისაწვდომია: <<https://sgb.apsny.land/images/PDF/111.pdf>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 24 ივლისი 2024].

ების წარდგენის გარეშე. მათ კი, ვინც მოწმობას პირველად იღებს, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით მოუწევთ დაამტკიცონ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მოთხოვნილ დოკუმენტებს შორისაა დაბადების მოწმობა, საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი, ფორმა №9, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, შრომის წიგნაკი, ცნობა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილებიდან, სკოლამდელი დაწესებულების დამთავრების ან სრული/ არასრული ზოგადი განათლების მოწმობა, ასევე პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ჩისტიაკოვას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტები არ არსებობს, განმცხადებელს შეუძლია წარადგინოს სხვა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია „სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ“ და დაადასტურებს, რომ აპლიკანტი მუდმივად ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ათი წლის განმავლობაში.⁹

აღსანიშნავია, რომ ბინადრობის ნებართვის დოკუმენტი მფლობელს არ აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, შეიძინოს ან გაყიდოს უძრავი ქონება. ბინადრობის მოწმობის მქონე გალელები ორმაგ კომუნალურ გადასახადებს იხდიან და ორჯერ ნაკლები პენსია აქვთ, მათთან შედარებით, ვისაც „აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი“ აქვს.¹⁰

2024 წლის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთში ქართული პასპორტით გადასვლის შესაძლებლობის შესახებ.¹¹ აქამდე არსებული პრაქტიკით, გალის მაცხოვრებლებს ბინადრობის მოწმობის მეშვეობით მხოლოდ ზუგდიდში გადასვლა შეეძლოთ, ხოლო ფსოუს საზღვრის გადასაკვეთად აფხაზური ან რუსული პასპორტი სჭირდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ წყაროებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორე არ დაუდასტურებიათ, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, რამდენიმე გალელმა ფსოუს საზღვრის გადაკვეთა საქართველოს პასპორტით შეძლო.

⁹ რადიო თავისუფლება, თამარ ზანთარაია, „ცოტა „უკეთესობა“ - რას ცვლის გალის რაიონის მცხოვრებთათვის ე.წ. ბინადრობის მოწმობის გაცემის ახალი წესი“, 15 თებერვალი 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32820623.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

¹⁰ რადიო თავისუფლება, „რაში სჭირდებათ გალელ ქართველებს აფხაზური პასპორტი?“, 2022, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 24 ივლისი 2024].

¹¹ Business Media Georgia, გიგა ბენია, „აფხაზეთიდან რუსეთში ქართული პასპორტით გადავივართ - აფხაზეთის მცხოვრებლები“, 20 თებერვალი 2024, ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/news/afkhazetidan-rusetshi-qartuli-pasportit-gadavdivart-afkhazetis-mtskhovreblebi> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

აფხაზეთში მოქალაქეობის შესახებ კანონის გამკაცრება იგეგმება. დე ფაქტო პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით ერთხმად მიღებული პროექტის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას ვერ შეძლებენ აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში (1992-1993 წლების აფხაზეთის ომის) მონაწილე პირები და მათი ოჯახის წევრები.¹² „საკანონმდებლო ცვლილებებით“ რესპუბლიკაში უწყვეტად ცხოვრების ვადის გაზრდა იგეგმება: ბინადრობის მოწმობის მიღების დღიდან მოქალაქეობის მიღების თაობაზე განცხადების გაკეთებამდე განმცხადებელი აფხაზეთში უწყვეტად უნდა ცხოვრობდეს არა 10, არამედ 25 წელი.¹³ ასევე დადგენილია მოქალაქეობაზე გამარტივებული წესით მიღების კვოტა - წელიწადში არაუმეტეს 30 ადამიანისთვის, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს აფხაზეთისა და კაცობრიობის წინაშე, ან აქვს „რესპუბლიკისთვის საინტერესო“ პროფესია ან კვალიფიკაცია“.¹⁴

2024 წლის აპრილ-მაისში თბილისში მიმდინარე პროტესტის ფონზე, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა დააკავეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც აქციებში მონაწილეობდნენ.¹⁵ აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალური წყაროებით არ დადასტურებულა, თუმცა, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ 2024 წლის აპრილის დასაწყისიდან სტუდენტებს გამშვები პუნქტის გადაკვეთისას მკაცრად ამოწმებდნენ და უკანონოდ აგროვებდნენ მათ შესახებ პერსონალურ ინფორმაციას.

აფხაზეთიდან თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, გამშვები პუნქტების გავლისას, მოსახლეობას არაერთი დაბრკოლების გადალახვა უწევს, მათ შორისაა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს გაუმართავი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, უკანონო ჩხრეკა და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

¹² JAMnews, „აფხაზეთი მოქალაქეობის მიღების წესებს ამკაცრებს“, 3 ივნისი 2024, ხელმისაწვდომია: <<https://jam-news.net/ge/afkhazeti-mogalageobis-mighebis-wesebs-amkacrebs/>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

¹³ JAMnews, <https://jam-news.net/ge/afkhazeti-mogalageobis-mighebis-wesebs-amkacrebs/>, აფხაზეთი მოქალაქეობის მიღების წესებს ამკაცრებს, 2024 წელი, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 25 სექტემბერი 2024].

¹⁴ იქვე.

¹⁵ მთავარი არხი, ემა გოგოია, „არსებული ინფორმაციით, გალში ანტირუსული აქციების მონაწილე სტუდენტები დააკავეს“, 15 მაისი 2024, ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/xtdpi>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საქართველოს საერთო სასამართლოებში იურიდიულ დახმარებას უწევდა სისხლის სამართლის წესით ბრალდებულ პირებს - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ შესვლის და საქართველოს საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდების საქმეებში. ყველა საქმეზე საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს წინაშე აფხაზური „ბინადრობის მოწმობის“ / ე.წ. აფხაზური პასპორტის განადგურების შუამდგომლობა დააყენა, რაც სასამართლომ ყველა ჯერზე დააკმაყოფილა. შუამდგომლობის დასაბუთებაში საქართველოს პროკურატურამ მიუთითებდა, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს საქართველოს სახელმწიფო არ აღიარებს. ამ არგუმენტის საპირისპიროდ, აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტებით, აფხაზეთში მაცხოვრებელ ეთნიკურ აფხაზებსა და ქართველებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სერვისები მიეწოდებათ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიჩნეული დოკუმენტის განადგურება კიდევ უფრო ამძიმებს გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ მძიმე ვითარებას როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე, აფხაზი მოსახლეობისთვის.

გამშვებ პუნქტებზე ოკუპირებულ რეგიონებსა და თბილისის კონტროლირებად ტერიტორიებს შორის ტვირთების გადატანა მკაცრად კონტროლდება. კონფლიქტის რეგიონებიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობა ძირითადად საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სურსათის შესაძენად გადმოდის. ფასების სხვაობა ზუგდიდსა და გაღს შორის მაღალია. ზუგდიდში სურსათი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა გაცილებით ნაკლები ღირს, ამიტომ გაღსელები პროდუქტის და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ზუგდიდში ხშირად გადმოდებიან. ტვირთის ამოწმებენ ქართველი სამართალდამცველებიც, რომლებიც კონტრაბანდულ საქონელს ეძებენ. მოსახლეობა წუხს, რომ გამშვებ პუნქტებზე არა მხოლოდ მანქანებსა და ჩანთებს უმოწმებენ, არამედ მათაც ჩხრეკენ.

გამშვებ პუნქტებთან არ არის განთავსებული ინფორმაცია, სადაც მითითებული იქნებოდა გადასატანად ნებადართული ნივთების ჩამონათვალი და ოდენობა. ინდივიდუალური საჭიროებებისთვის აუცილებელი ტვირთის გადატანას კი ხშირად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეთანხმება სჭირდება. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ მოსახლეობისთვის უცნობია, რომელი და რა რაოდენობის ტვირთის გადატანა შეუძლიათ; არსებობს თუ არა კანონით გათვალისწინებული რაიმე შეზღუდვა, რაც არამეწარმე ფიზიკურ პირებს ტვირთის გარკვეული დასახელებისა ან/და რაოდ-

ენობის გადატანას შეზღუდავდა; რა ჩაითვლება პირადი მოხმარების რაოდენობად და სურვილის შემთხვევაში, როგორ უნდა ისარგებლონ სპეციალური საწარმოს სტატუსით.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტვირთების გადატანასთან დაკავშირებულ საკითხებს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს. გარდა ამისა, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 24² მუხლი იცნობს სპეციალური საწარმოს სტატუსს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები/საქმიანობის განმახორციელებელი ადამიანებისთვის. კანონმდებლობა კრძალავს ან კონტროლის ობიექტად მიიჩნევს მხოლოდ იმ პროდუქტის გადატანას, რომელიც სანებართვო და სალიცენზიო საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება, ან სამხედრო დანიშნულებისაა. კანონის დათქმის მიღმა კი, უკვე მრავალი წელია მოქმედებს მავნე პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თბილისის კონტროლირებადი ტერიტორიიდან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში პროდუქტების შეტანა მხოლოდ განსაზღვრული თანამდებობის პირის ინდივიდუალური თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი.¹⁶

1.2. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება

2003 წლის 1 სექტემბრიდან გალის რეგიონის ზედა ზონის ცხრავე სკოლა სრულად რუსულ სწავლებაზე გადავიდა. ქართულ ენას, რომელიც უცხო ენად ისწავლება, კვირაში სამ საათამდე ეთმობა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ იგივე პოლიტიკა გაატარა გალის რეგიონის ქვედა ზონის სკოლების მიმართაც. 2015 წლის სექტემბრიდან გალის რეგიონის ქვედა ზონის თერთმეტივე ქართულენოვანი სკოლის დაწყებით კლასებში სწავლა რუსულ ენაზე დაიწყო. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანმა გამოძვებამ სწავლა 2022 წელს დაამთავრა, რითაც აფხაზეთში სრულად რუსული სწავლების მოდელი დამკვიდრდა.

2024 წლის მდგომარეობით, გალის რეგიონში 27 სკოლა ფუნქციონირებს: საბერიოს პირველი და მეორე საშუალო სკოლა, ქვემო და ზემო ბარდღეფის სკოლა, სიდის, მზიურის, გაგიდის, ფიჩორის, პირველი და მეორე ოტობაიის, თაგილონის, ნაბაკევის,

¹⁶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში“, თბილისი, 2023, გვერდი 9, <<https://www.democracyresearch.org/geo/1315/>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

დიხაზურგის, ლეკუხონის, პირველი გალის, რეჩხის, ღუმურიშის, კოხორის, აჩიგვარის, მუხურის, ოქუმის, წარჩეს, ჩხორთოლის და ჭუბურხინჯის ორი სკოლა; ქალაქ გალის ორი - პირველი და მეორე საჯარო სკოლა. სკოლები არ არის სოფელ აგუბელიაში, ცხირში, ზღვისპირეთში (ე.წ. პრიმორსკში) და გუდავაში. სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გააუარესა განათლების ხარისხი. გალის რაიონის მასწავლებლების უმეტესობა ქართველია და განათლება ქართულ ენაზე აქვს მიღებული, რაც რუსულ ენაზე სწავლებას ართულებს. მოსწავლეები სახლში ქართულად ან მეგრულად საუბრობენ, სკოლაში კი ყველა საგანს რუსულად ასწავლიან, რაც უცხო ენების სრულყოფილად სწავლას უშლის ხელს და სამომავლოდ უმაღლესი განათლების მიღებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობას ზღუდავს.

საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციის თანახმად, კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც ასახულია კიდევ ხელისუფლების მიერ ინიცირებულ სამშვიდობო ინიციატივაში - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.¹⁷ აღნიშნული ინიციატივა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარების მიზანს ემსახურება.¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ინიციატივა ჯერ კიდევ 2018 წელს წარადგინა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ინიციატივის შესრულების შესახებ ოფიციალური ანგარიში ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია.

განათლების მიმართულებით სამშვიდობო ინიციატივა შემდეგ პრიორიტეტებს მოიცავს:

- მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა;

¹⁷ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე გალსა და ახალგორში“, თბილისი, 2023, გვერდები 15-16, ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/t62dd>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

¹⁸ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“: სამშვიდობო ინიციატივა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება, თბილისი, 2018, ხელმისაწვდომია: <<https://smr.gov.ge/uploads/prev/a2beda36.pdf>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

- აფხაზური ენის დაცვა და განვითარება;
- განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება და გამარტივება;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და სწავლების გაგრძელების გამარტივება, ხარისხიან განათლებაზე წვდომა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა/გამარტივება;
- პროფესიული განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; და
- სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.¹⁹

აღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის ყველაზე დიდი ჩავარდნა მშობ-ლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფის კუთხითაა. ხელისუფლებას ამ დრომდე არ გადაუდგამს ეფექტიანი ნაბიჯები საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში განათლების სისტემის რუსიფიკაციის პროცესის შეჩერების და საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზების მიმართულებით.

1.3. კანონის უზენაესობის საკითხი აფხაზეთში

1.3.1. კრიმინალური მენტალიტეტი და ავტორიტეტები

ოკუპირებულ აფხაზეთში „კანონიერი ქურდის ინსტიტუტი“ კვლავ გავლენების სფეროების განაწილებისა და დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს. ე.წ. კანონიერი ქურდები ხშირად ასრულებენ სასამართლო და სამართალდამცავი სტრუქტურების ფუნქციებს. მცირე და მსხვილ ბიზნესში ისინი რეგულარულად ითხოვენ წილს, რასაც დე ფაქტო სამართალდამცავი ორგანოები უწყობენ ხელს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან განსხვავებით, ოკუპირებული აფხაზეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით „კანონიერი ქურდობა“, „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/ „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა და სხვა, დასჯადი არ არის.²⁰

¹⁹ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სქოლიო No. 27, გვერდი 4.

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - [მუხლი 223¹](#), [223²](#), [223³](#), [223⁴](#).

„კანონიერი ქურდებისადმი“ მიმართვის პრაქტიკის ნორმალიზებამ ახალგაზრდებში კრიმინალური სუბკულტურის რომანტიზება გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო შორ პერსპექტივაში გადაავადა პრობლემის მოგვარება.

1.3.2. ნარკოპოლიტიკა

ნარკოტიკული დანაშაული აფხაზეთში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენს.²¹ ეთნიკური ქართველების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის ბრალდება ხშირად წარმოადგენს მათი დაკავების ან/და ხელოვნურად ბრალის დამძიმების საფუძველს. ოკუპირებული აფხაზეთის კანონმდებლობით, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების, მათი ანალოგის ან პრეკურსორის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას, თუმცა ადმინისტრაციული წესით ისჯება. აფხაზეთში მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება 15 ან 30 დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.²²

1.3.3. საბრანსპორტო დანაშაული

აფხაზეთში ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები. დე ფაქტო სამართალდამცავი ორგანოები მათზე რეაგირებას, ძირითადად, ადმინისტრაციული წესით ახდენენ და სისხლის სამართლის გამოძიება არ იწყება. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ამ ტიპის დანაშაულებისთვის არ დგება სისხლისსამართლებრივი

²¹ პირველი არხი, გივი ბარამიძე, „ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი რაოდენობის ნარკოტიკებით ექსპორტისა და იმპორტისთვის სიკვდილით დასჯა დაწესდა“, 4 აპრილი 2019, ხელმისაწვდომია: <<https://1tv.ge/news/okupirebul-afkhazetshi-didi-raodenobis-narkotikebit-egsportisa-da-importistvis-sikvdilit-dasja-dawesda/>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

²² Статья 45. Незаконное приобретение или хранение наркотических средств или психотропных веществ в небольших размерах либо потребление наркотических средств или психотропных веществ без назначения врача. Кодекс Республики Абхазия об административных правонарушениях. ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/pk55x>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 24 ივლისი 2024].

პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა დაზარალებული ეთნიკური ქართველია.

1.3.4. გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულები

ქალები აფხაზეთში საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ნაწილს წარმოადგენენ. ხშირია ოჯახში ძალადობა და ფემიციდი, თუმცა მათი გამოძიება არ ხდება. დღემდე არ დასრულებულა ნათია ბახტაძის მკვლელობის საქმის გამოძიება.²³

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, აფხაზეთში, გაუპატიურების მსხვერპლები, როგორც წესი, არ მიმართავენ საგამოძიებო ორგანოებს, რადგან მიმართვის მიუხედავად, გამოძიება მხოლოდ საჯაროდ განმაურებულ შემთხვევებში იწყება და ისიც ფორმალურად, უმრავლეს შემთხვევაში კი, გამოძიება საერთოდ არ მიმდინარეობს.

1.4. თავდასხმები სამოქალაქო საზოგადოებაზე

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების დღის წესრიგში 2020 წლიდან დგას სამოქალაქო ორგანიზაციების კონტროლზე მიმართული უცხოური გავლენის აგენტების შესახებ რუსული კანონმდებლობის მიღება, რაც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მწვავე კრიტიკისა და წინააღმდეგობის საგანია. სამოქალაქო სექტორის კონტროლისკენ მიმართული ძალისხმევა განსაკუთრებით გააქტიურდა ინალ არძინბას ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის დღიდან. მისი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, საოკუპაციო რეჟიმმა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის წესები შეცვალა.²⁴

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით:

- USAID-ის რეგიონული ხელმძღვანელი ჯონ პენელი აფხაზეთში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა.

²³ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში“; გვ. 18. თბილისი, 2023; ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/1WU0z>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 20 ივლისი 2024].

²⁴ UN Human Rights Council, Cooperation with Georgia - Report of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2023; ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/JRxUk>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 22 ივლისი 2024].?

- აიკრძალა USAID-ის დაფინანსებით ნებისმიერი სახის პროექტის განხორციელება.
- აიკრძალა პროექტები, რომლებიც აფხაზებსა და ქართველებს შორის კონტაქტების დამყარებას და დიალოგს ეხება.
- დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუჩნდა პროექტის დახურვის დისკრეცია, რომელიმე პროექტზე მოწოდებული ინფორმაციის არასაკმარისად ჩათვლის შემთხვევაში.
- აიკრძალა მედია-პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის შიდა და საგარეო პოლიტიკის გაშუქებას.
- აფხაზეთში მოქმედი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ვალდებულია, დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუთანხმოს ნებისმიერი სახის ფინანსური დახმარება ადგილობრივი არასამთავრობო სექტორისადმი.

დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, აღარ მტკიცდება USAID-ის ნაწილობრივი ან სრული ფინანსური მხარდაჭერით წარმოდგენილი პროექტები, ასევე შეჩერდა UNDP-ის პროექტების მიღება.²⁵

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში გამკაცრდა მიდგომები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ.²⁶ საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა გაეროს სააგენტოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა.²⁷ სუს-ის ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2023 წელს საოკუპაციო რეჟიმი ხშირად ადანაშაულებდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების“ არევაში და მათ დისკრედიტაციას ეწეოდა, რითაც, ანგარიშის მიხედვით, საოკუპაციო რეჟიმი რეგიონში რუსეთის ფედერაციის გავლენების გაზრდასა და აფხაზებსა და ქართველებს შორის კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანას ცდილობდა.

²⁵ რადიო თავისუფლება, „აფხაზი "დიპლომატები" არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოდიან“. თბილისი, 15 იანვარი, 2024; ხელმისაწვდომია: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/32774950.html>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 20 ივლისი 2024].

²⁶ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: ანგარიში. თბილისი, 2023; ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/43216?fbclid=IwZXh0bGhZWOCMTAAAR2b6FR9UA6hMX6290rR9v5UovDpLtTfKGEXDyPq50myyhQLiL5fT6Si5s_aem_Ad8zzSNP6SgDUh05wZpfasnaKogXEyQUBeYEDw7U6Dk_oNg9XTeo0JFXC29tVwxTi81pJcWjdbyx9Unc3Vuki1g> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 22 ივლისი 2024].

²⁷ იქვე, გვერდი 10.

2024 წლის 7 თებერვალს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ აფხაზეთის პარლამენტს ე.წ. „აგენტების კანონი“ (კანონპროექტი „არაკომერციული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც უცხოური აგენტის ფუნქციას ასრულებენ“) წარუდგინა. თუმცა, თბილისისგან განსხვავებით, სადაც პარლამენტმა რუსული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ორ თვეზე ნაკლებ დროში სამი მოსმენით მიიღო, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს კანონპროექტის განხილვა ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის ჯერ არ დაუწყია.

კანონის არარსებობის მიუხედავად, დე ფაქტო უშიშროების სამსახური აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელის შეშლას და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას აგრძელებდა. აპრილში დე ფაქტო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებმა ოკუპირებულ გალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისები გაჩხრიკეს. რეიდების შედეგად ამოიღეს დოკუმენტაცია, კომპიუტერული ტექნიკიდან გადაწერეს მასალები, „ინდივიდუალურად გამოჰკითხეს“ თანამშრომლები. ადგილობრივების განცხადებით, გამოკითხვების მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებისა და „საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლო საქმიანობის“ კვალის პოვნა იყო.

ზეწოლის მიუხედავად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საქმიანობას განაგრძობდნენ, თუმცა, ინდივიდუალურ დონეზე თანამშრომლებს უჭირთ სტრესულ გარემოსთან გამკლავება და ბევრისთვის სამსახურის დატოვება ზეწოლისგან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალია.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი პოლიტიკური ელიტის ნაწილი აჩვენებს რუსეთის გავლენისადმი მედეგობას, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მტრულად განწყობილი ფრთისთვის, უცხოური გავლენის აგენტების რუსული კანონის მიღებამდე ან მის გარეშე, რეიდები და დაშინება კვლავ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შევინროების და მათი მეთოდური გაძევების დამხმარე სტრატეგიად რჩება.

აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების მისამართით მოთხოვნების გამკაცრება და მათი საქმიანობის შეზღუდვა იმეორებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე ამოქმედებული „რუსული კანონის“ შინაარსს და მიზნებს.

1.5. დემოგრაფიული პრობლემები

გალის რეგიონის ყველაზე მწვავე პრობლემას ბოლო 20 წლის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის გადინებით შექმნილი დემოგრაფიული კრიზისი წარმოადგენს. 2024 წლის თებერვალში, გალის რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, კონსტანტინ ფილიამ ეს საკითხი ოკუპირებული რეგიონის ე.წ. „პრეზიდენტთან“ ასლან ბჟანიასთან შეხვედრისას განიხილა.²⁸ ფილიას თქმით, გალიდან მოსახლეობის გადინება 2015 წელს დაიწყო, „დოკუმენტებთან დაკავშირებული სირთულეების“ გამო. პროცესი დაახლოებით 30,000 ეთნიკური ქართველისთვის ე.წ. „აფხაზური მოქალაქეობის“ ჩამორთმევამ დააჩქარა, რაც 2014 და 2017 წლებში არჩევნების შედეგებზე შესაძლო გავლენის მოხდენის შიშით იყო განპირობებული და რამაც თავისთავად, პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა გამოიწვია.²⁹

დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული 2011 წლის აღწერით, რომელიც შეიძლება სანდო არ იყოს, გალში დაახლოებით 30,000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა, თუმცა ქმედუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 17,000-ს შეადგენდა. ამჟამად, 5,863 პენსიონერი „ბინადრობის ნებართვით“, ხოლო 344 „აფხაზეთის მოქალაქის“ სტატუსით იღებს პენსიას.³⁰

ფილიას თქმით, 2023 წელს გალში 137 ბავშვი დაიბადა, მაგრამ მხოლოდ 59-მა მიიღო დაბადების მოწმობა, რადგან მშობლების უმეტესობას არ გააჩნდათ სათანადო დოკუმენტები. ადგილობრივი ადმინისტრაციის ცნობით, გალში მცხოვრებ 5,000-მდე ადამიანს მხოლოდ ერთი დოკუმენტი, „ფორმა №9“ აქვს, 1,130 მაცხოვრებელს - „აფხაზეთის პასპორტი“, ხოლო 21,500 პირს - „ბინადრობის მოწმობა“.³¹

²⁸ Аpsадгьыл-инфо, „Константин Пилия представил годовой отчет и рассказал президенту о возросшей инвестиционной привлекательности Галского района“, 27 თებერვალი 2024. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/byDoW>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია 24 ივლისი 2024].

²⁹ Спутник Абхазия, „Молодежь покидает Гал: Пилия рассказал о причинах оттока населения“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://iz.ru/1584377/2023-10-05/bzhaniia-soobshchil-o-razmeshchenii-v-abkhazii-punkta-postoianno-go-bazirovaniia-vmf-rf>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია 24 ივლისი 2024].

³⁰ Civil Georgia, „კონსტანტინ ფილია გალიდან მოსახლეობის გადინებაზე საუბრობს“, 29 თებერვალი 2024, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/585103>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

³¹ რადიო თავისუფლება, „გალიდან მოსახლეობის გადინების მხრივ მძიმე მდგომარეობაა - დე ფაქტო ადმინისტრაცია“, 29 თებერვალი 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32842174.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

საგულისხმოა, რომ 2022 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით,³² ეთნიკურ ქართველებს ე.წ. „აფხაზეთის პასპორტის“ მიღება მხოლოდ „აფხაზური ეთნიკურობის აღდგენით“ შეუძლიათ, რაც მათი ქართული გვარების აფხაზურით შეცვლას მოითხოვს. ეთნიკურმა ქართველებმა დაგმეს მიღებული ცვლილებები და მას „საქართველოს მოსახლეობაზე მიუღებელი ექსპერიმენტი“ უწოდეს.³³ როგორც ფილიამ აღნიშნა, პირები, რომელთაც არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი არ გააჩნიათ, გალის რაიონს ისე ტოვებენ, რომ მათი აღრიცხვა ვერ ხერხდება.³⁴

1.6. გამონვევა უსაფრთხოების მიმართულებით – რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა ოჩამჩირეში

2023 წლის ოქტომბერში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანამ განაცხადა, რომ მან ოჩამჩირეში რუსეთის მუდმივი საზღვაო ბაზის განთავსების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. მისი განცხადებით, სამხედრო-საზღვაო ფლოტის განთავსება მიმართულია რუსეთისა და აფხაზეთის თავდაცვის-უნარიანობის გაზრდისკენ და მათი უსაფრთხოების ფუნდამენტურ ინტერესებს ემსახურება.

2023 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ დაგმო ოჩამჩირეში რუსული სამხედრო ბაზის განთავსება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, სამხედრო საზღვაო ფლოტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ოკუპირებული აფხაზეთის სოფელ ფიჩორთან, ანაკლიიდან 4 კილომეტრში, მასშტაბური მოსამზადებელი სამუშაოები 2023 წლის ოქტომბერში უკვე დაწყებული იყო. სოფელი ფიჩორი გალის რეგიონის დაბალ ზონაში მდებარეობს. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისთვის ადგილობრივი მაცხოვრებლების მხრიდან ცნობილი გახდა, რომ:

- რუსი სამხედროები ადგილობრივებთან საუბრისას აცხადებდნენ, რომ ფიჩორს ექნება ოჩამჩირის დიდი სამხედრო საზღვაო ბაზის დამხმარე ფუნქცია;

³² Civil Georgia, „ახალი აფხაზური კანონი გალის ქართველობას „აფხაზური ეთნიკურობის აღდგენას“ სთავაზობს“, 21 მარტი 2022,

ხელმისაწვდომია: <<https://civil.ge/ka/archives/480533>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 18 ივლისი 2024].

³³ Civil Georgia, სქოლიო No. 30.

³⁴ იქვე.

- რუსები საანგარიშო პერიოდში, აქტიურად ატარებდნენ წვრთნებს, რა დროსაც გამოყენებული იყო დრონების შეტევის იმიტაცია ოჩამჩირის სამხედრო პორტზე;
- ოჩამჩირის მოსახლეობის განცხადებით, ადგილზე აქტიურად მიმდინარეობდა რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემების განთავსების პროცესი, რაც, სავარაუდოდ, უკრაინული დრონებისა და რაკეტების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

უკრაინის პრეზიდენტი ოჩამჩირეში რუსული სამხედრო საზღვაო ბაზის განთავსების შესახებ ცნობას 2023 წლის 24 ოქტომბერს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ უკრაინა თავს არ შეიკავებს აფხაზეთში რუსეთის სამხედრო გემებზე თავდასხმისგან: „ცოტა ხნის წინ, რუსეთის ხელმძღვანელი იძულებული გახდა, შავი ზღვის ფლოტის, უფრო სწორად, მისი ნარჩენების ახალი ბაზის შექმნა გამოეცხადებინა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ანუ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, უკრაინული რაკეტებისა და საზღვაო დრონებისგან რაც შეიძლება შორს, მაგრამ მათ ყველგან მივწვდებით.“³⁵

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა „სოხუმში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის განცხადებებთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის დამატებითი სამხედრო ბაზის განლაგების შესახებ“ და აღნიშნა, რომ „მსგავსი ქმედებები წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციის ლეგიტიმაციისაკენ მიმართულ მორიგ პროვოკაციულ მცდელობას.“³⁶

საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციამ ოჩამჩირეში რუსული საზღვაო ბაზის წინააღმდეგ პარლამენტისგან რეზოლუციის მიღება მოითხოვა,³⁷ თუმცა, უშედეგოდ.

ოჩამჩირეში რუსეთის საზღვაო სამხედრო ფლოტის განთავსება ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის საქართველოს და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას. მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბის გათვალისწინებით, ხელისუფლების მიერ

³⁵ რადიო თავისუფლება, „ზელენსკი ოჩამჩირეში რუსული ფლოტის ბაზაზე: „მათ ყველგან მივწვდებით““, 24 ოქტომბერი, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32651748.html>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

³⁶ 2023 წლის 5 ოქტომბრის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის განცხადება <https://mfa.gov.ge/news/428981-sagareo-saqmeta-saministros-presisa-da-inphormatsiis-departamentis-komentari>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

³⁷ ნეტგაზეთი, „ოჩამჩირეში რუსული ბაზის წინააღმდეგ ოპოზიცია პარლამენტისგან რეზოლუციის მიღებას ითხოვს“, <https://netgazeti.ge/news/691035/> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის დეკლარირებული პროტესტი არასაკმარისი და არაეფექტიანია. იმ მოცემულობაში, როდესაც მტრული სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის უგულბელყოფით ცდილობს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო საზღვაო ბაზის განთავსებას, საქართველოს ხელისუფლებამ მსგავს გამოწვევას მხოლოდ ფორმალური შეშფოთებით არ უნდა უპასუხოს.

1.7. უკანონო პატიმრობა – ირაკლი ბებუა

2020 წლის 30 სექტემბერს, გალში საქართველოს მოქალაქე ირაკლი ბებუა აფხაზეთის დროშის დაწვისთვის დააკავეს. აღნიშნული ქმედებისთვის მაქსიმალური სასჯელის სახით ერთწლიანი პატიმრობაა გათვალისწინებული, თუმცა ბებუას ბრალი ხელოვნურად, თითქოსდა ხელყუმბარის ქონის გამო დაუმძიმეს და ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ირაკლი ბებუას ხელი არ მიუწვდება სამედიცინო სერვისებზე და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. 2023 წლის ოქტომბერში ოჯახის ნათესავმა აღნიშნა: „ბოლო ორი თვეა ძალიან სტკივა თავი, ხერხემალი, კუჭი. ამას ემატება დეპრესია, საკნიდან არ გამოდის. წამლებიც არა აქვს, მარტო გამაყუჩებელს თუ აძლევენ, თორემ რომ გამოიკვლიონ და მკურნალობა დაუნიშნონ, ეს არ ხდება“.³⁸

ამ დროისთვის ირაკლი ბებუას სრულად აქვს მოხდილი უკანონო სასჯელის ოთხი წელი. იმ საპატიმრო დაწესებულებაში არსებული პირობები, სადაც ირაკლი ბებუა სასჯელს იხდის, საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ირაკლი ბებუას ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სასჯელალსრულების დაწესებულებაში გატარებული დღეები შესაძლოა, სრულად მოხდილად ჩაეთვალოს. აფხაზეთის დე ფაქტო სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის³⁹ თანახმად, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო შესაძლებელია პირის ვადამდე გათავისუფლება. იმის გათვალისწინებით, რომ ირაკლი ბებუას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს, დე ფაქტო კანონმდებლობის თანახმად, ის გათავისუფლებას ექვემდებარება.

³⁸ Civil Georgia, „ირაკლი ბებუას ჯანმრთელობის მდგომარეობა სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს - ადამიანის უფლებათა ცენტრი“ - <https://civil.ge/ka/archives/564487>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

³⁹ <http://presidentofabkhazia.org/doc/codecs/> - დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი მასზე განთავსებული საკანონმდებლო აქტები [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა აფხაზეთში უკანონო პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად არაეფექტიანი და არასაკმარისია.

1.8. სიცოცხლის უფლება – ვიტალი კარბაია

გალის რაიონის სოფელ წარჩეს მკვიდრი 43 წლის ვიტალი (თემურ) კარბაია გალის დე ფაქტო მილიციის განყოფილების თანამშრომლების მხრიდან სასტიკი ცემის შედეგად მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა.⁴⁰

6 დეკემბერს აფხაზეთის სოფელ წარჩეში ვიტალი კარბაია, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად იმყოფებოდა, გალის მილიციის განყოფილების სამმა თანამშრომელმა ე.წ. პოლიციური რეიდის დროს ქუჩაში შეაჩერა. ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით, მას ბიოლოგიური მასალის ჩაბარება ქუჩაშივე მოსთხოვეს. კარბაიამ დე ფაქტო სამართალდამცველებს განუცხადა, რომ ბავშვების თვალწინ, ქუჩაში არ სურდა დამამცირებელი ფორმით ნარკოტესტის გავლა, ოჯახს სახლში მიიყვანდა და თავად გამოცხადებოდა გალის განყოფილებაში.⁴¹ შეპასუხების გამო მილიციელებმა იგი სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც მან სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო. ოჯახის წევრმა სასწრაფო დახმარების მანქანით მოახერხა მისი გალის კლინიკაში გადაყვანა. კლინიკაში მიყვანისას ვიტალი კარბაიას აღენიშნებოდა ჩამტვრეული ნეკნები, ტვინის შერყევა და აღებინებდა სისხლს. მოგვიანებით, უგონო მდგომარეობაში მყოფი კარბაია სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი გარდაცვალების თარიღად გაფორმებულია 2023 წლის 9 დეკემბერი.⁴²

გალის მილიციის განყოფილება ვიტალი კარბაიას სასტიკად ცემაში მონაწილე მილიციელებისთვის ხელის დაფარებას და სიკვდილის რეალური მიზეზის დამალვას

⁴⁰ რადიო თავისუფლება, „ძვლები, ნეკნები დამტვრეული აქვს“ - ამბობს ოკუპირებულ გალში სასიკვდილოდ ნაცემ თემურ კარბაიას რძალი“, 2023 წლის 10 დეკემბერი; ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32724313.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

⁴¹ გალ ინფო, 2023 წლის 11 დეკემბერი, „ინფორმაცია კარბაიას მკვლელობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/APSNYGAL/posts/pfbid0XTR1XPSTM1esWzr76pnVXUe9x1VG7XMaoXdFuiAFe2mnVfjJws4ifeLLhb9KJWI?rdid=udZq56Fm6fC3Eij> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

⁴² სპუტნიკ აფხაზეთი, 2023 წლის 12 დეკემბერი, „კარბაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის სახალხო დამცველმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა“, ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/20231212/ombudsmen-abkhazii-napravila-obrascheniya-v-pravookhranitelnyy-organy-po-faktu-smerti-karbaya-1049416100.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

ცდილობდა. საქმეზე გამოძიებას ფორმალურად აწარმოებდა საქმის ფიგურანტი მილიციელების განყოფილება.

თემურ კარბაიას ნათესავების უკიდურესი პროტესტის შემდგომ, დააკავეს გარდაცვლილის სასტიკად ცემაში მონაწილე პირები: გელა ტყეებუჩავა, ალიკა ზარაკუა და ვია (ვილლი) ზარაკუა. 2024 წლის 28 მაისს გალის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დახურულ რეჟიმში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე დაადგინა, რომ თემურ კარბაიას სიკვდილი მილიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი არა წინასწარ განზრახული, არამედ დაუდევარი ქმედებების შედეგად დადგა და დაკავებული პოლიციელები სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა. მკვლელობაში ბრალდებულებს ჯარიმის სახით ორმოცდაათი ათასი რუბლის (ათას ექვსასი ლარის ეკვივალენტი) გადახდა მოუწევთ. მათ, ასევე, ერთი წლის ვადით აკრძალათ საჯარო თანამდებობების დაკავების უფლება. ვარაუდობენ, რომ თითოეულმა დაკავებულმა მოსამართლეს ასი ათასი რუბლის (დაახლოებით სამი ათას ორასი ლარი) ქრთამი გადაუხადა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისთვის უცნობია საქმის განმხილველი მოსამართლის ვინაობა.

ვიტალი (თემურ) კარბაიას მკვლელობაში მონაწილე პოლიციელები გალის დე ფაქტო რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოცხადებისას დარბაზიდან გაათავისუფლა. ეს ფაქტი ოკუპირებულ აფხაზეთში ეთნიკური დისკრიმინაციის მორიგი ინსტიტუციური დადასტურებაა.⁴³

1.9. რუსული „რბილი“ ძალის მოქმედების ქრონოლოგია აფხაზეთში

რუსეთი მეთოდურად უდგება აფხაზეთის ანექსიის გაფორმებას. რუსული პოლიტიკის თითოეული ნაბიჯი სწორედ ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ მიზანს - აფხაზეთში სრული რუსული კონტროლის დამყარებას ემსახურება, რომლის ქრონოლოგია ასეთია:

1. 2020 წელი - რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის გაფორმდა „საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების ღონისძიებების გეგმა“, რაც აფხაზეთი და რუსული კანონმდებლობის „ჰარმონიზაციას“ ისახავდა მიზნად;

⁴³ აქცენტ ნიუსი, 2024 წლის 28 მაისი, „თემურ კარბაიას მკვლელობის საქმეზე მილიციელს ჯარიმის გადახდა დააკისრეს“. ხელმისაწვდომია: <https://accentnews.ge/ru/article/114208-po-delu-o-smerti-temura-karbaia-abkhazskim-militsione>. [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 13 აგვისტო 2024].

2. 2022 წელი - დე ფაქტო იუსტიციის სამინისტროში გააქტიურდა მუშაობა ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ კანონპროექტზე;
3. 2023 წელი - შემუშავდა კანონპროექტი აპარტ ოტელების შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე პროტესტის ფონზე შეჩერებულია;⁴⁴
4. 2023 წელი - გაფორმდა სოხუმის აეროპორტის⁴⁵ რუსი ინვესტორებისთვის გადაცემის კაბალური ხელშეკრულება;
5. 2022-2023 წლები - ბიჭინთის ტერიტორია რუსეთს გადაეცა პუტინის⁴⁶ რეზიდენციის მშენებლობის მიზნით;
6. 2023 წელი - გამწვავდა ენერგოკრიზისი, სავარაუდოდ, მოსახლეობაზე წნეხის გაზრდის მიზნით;⁴⁷
7. 2023 წელი - შეიქმნა ნავთობის მიწოდების კრიზისი, სავარაუდოდ, ასევე, მოსახლეობაზე ზეწოლის მიზნით;⁴⁸
8. 2023 წელი - ოჩამჩირეში იწყება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის განთავსებისთვის მზადება;⁴⁹
9. 2024 წელი - რუსულ გვარდიას ეძლევა უფლებამოსილება, გააკონტროლოს აფხაზეთი და დაიცვას სამოქალაქო წესრიგი;⁵⁰
10. 2024 წელი - ფსოუზე და ენგურზე ინტენსიურ ხასიათს იღებს აფხაზეთში მცხოვრები ნებისმიერი აქტიური პირის დაყოვნება „გამოკითხვის“ მიზნით;

⁴⁴ რადიო თავისუფლება, 2024 წლის 21 ივნისი, „აფხაზეთი აღარ იქნება! -სოხუმში აპარტამენტების კანონის და ახალი კოლონიზაციის ეპინიათ“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dcoKy>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁴⁵ რადიო თავისუფლება 2023 წლის 26 ივლისი „მონური ხელშეკრულება - სოხუმის აეროპორტი 49 წლით რუსეთის მართვაში გადავა“ ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/Xaph3>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁴⁶ რადიო თავისუფლება 2023 წლის 27 დეკემბერი, “რუსეთმა ბიჭინთა წაიღო - ანექსიის პირველი ფაქტი თბილისისთვის, შავი დღე აფხაზეთისთვის”, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁴⁷ სააგენტო on.ge 2023 წლის 27 ნოემბერი, „აფხაზეთში ენერგოკრიზისი დაიწყო - როგორ იყენებს პუტინის რუსეთი ამას რეგიონის ანექსიისთვის“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/sjBYu>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁴⁸ ჯემ ნიუსი, 2022 წლის 22 აგვისტო, „საწვავის კრიზისი აფხაზეთში“, ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/ge/sawvavis-krizisi-afkhazetshi/> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁴⁹ რადიო თავისუფლება, 2023 წლის 5 ოქტომბერი, „რუსეთი ოჩამჩირეში საზღვაო ფლოტის განთავსებას აპირებს“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32624051.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁵⁰ დე ფაქტო აფხაზეთის სამინისტროს განცხადება, 2024 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/yuO6F>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

11. 2024 წლის 1 მარტიდან - აფხაზებს, რომლებსაც რუსული პასპორტიც აქვთ, რუსეთში შესვლა მხოლოდ რუსული პასპორტით შეუძლიათ;⁵¹
12. 2024 წლის თებერვალი - ბჟანიამ დე ფაქტო პარლამენტს ე.წ. აგენტების კანონპროექტი წარუდგინა;
13. 2024 წლის ივლისის კანონპროექტით - რუსეთის მოქალაქეებს უძრავი ქონების შეძენის უფლება ექნებათ.⁵²

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დასკვნით, რუსეთი აფხაზეთის ანექსიას იურიდიულად აფორმებს;⁵³ იცის რა, რომ ამ ეტაპზე რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, მოსახლეობა რუსეთთან მიერთებას მხარს არ დაუჭერს, მოსახლეობაში ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალურ-ეკონომიკური სფეროების განვითარების სადარაჯოზე მყოფი სამოქალაქო ორგანიზაციების და ადამიანების მარგინალიზაციას ეწევა; „უცხოეთის აგენტების შესახებ“ რუსული კანონპროექტი მიზნად ისახავს აგენტებად გამოაცხადოს ყველა, ვინც აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობაზე და დახმარებაზე ზრუნავს.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რუსული მხარისგან მიიღო ულტიმატუმი, რომ 2024 წლის 1 სექტემბრიდან რუსეთი შეაჩერებდა აფხაზეთის ფინანსურ დახმარებას იმ დრომდე, სანამ აფხაზეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, *მათ შორის*, არ მიიღებს კანონს აპარტ ოტელების შესახებ, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას დაუკანონებს.

აფხაზეთში ანექსიური პროცესების გააქტიურების კვალდაკვალ, შემამფოთებელია საქართველოს ხელისუფლების სრული უმოქმედობა და უმწვავესი პრობლემის იგნორირება.

⁵¹ Kvirage, 2024 წლის 5 თებერვალი, „პირველი მარტიდან რუსეთში შესვლა და გამოსვლა მხოლოდ რუსეთის პასპორტით შეუძლებათ, სხვა შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან“, ხელმისაწვდომია: <https://kvira.ge/901115>; [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

⁵² ეხო კავკაზა, 2024 წლის 17 ივლისი, „აფხაზეთში პროტესტის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება მოხდა“, ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/33039935.html>.

⁵³ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი „სოხუმში არ სურთ რუსეთის მოქალაქეებს უძრავი ქონების შეძენის უფლება ჰქონდეთ“, 2024 წელი 25 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1515/>; [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 26 აგვისტო 2024].

2. ცხინვალის რეგიონი

2.1. გადაადგილების თავისუფლება.....	31
2.2. განათლების უფლება და მიგრაცია.....	33
2.3. ქალთა უფლებები ცხინვალის რეგიონში	35
2.4. არალეგიტიმური არჩევნები	36
2.5. უკანონო დაკავებები.....	37
2.6. სიცოცხლის უფლება - რუსული ოკუპაციის მსხვერპლები	38

1992 წელს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ცხინვალის რეგიონი) შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის (მათ შორის, ე.წ. სამშვიდობო ძალების) ხელშეწყობით, ოსი სეპარატისტების კონტროლს ქვეშ აღმოჩნდა რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი.

2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად, საქართველოს ხელისუფლების ორგანოები და ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დასახლებული პუნქტებიდან გამოდევნეს და ოლქის ტერიტორია (მათ შორის, ახალგორის რაიონი და მამისონის უღელტეხილი) სრულად მოექცა საოკუპაციო ძალების კონტროლის ქვეშ. ქართულმა მხარემ კონტროლი დაკარგა ცხინვალის რეგიონის 135 დასახლებულ პუნქტზე.

2.1. გადაადგილების თავისუფლება

გადაადგილების თავისუფლების კუთხით შექმნილი დაბრკოლებები განსაკუთრებით მწვავედ ახალგორის რაიონში დგას. ადამიანებს, რომლებმაც კონფლიქტის მიუხედავად საკუთარი სახლები არ დატოვეს, დე ფაქტო უწყებები გადაადგილების თავისუფლების კუთხით არაერთ ბარიერს უწესებენ, რომელთა შორისაა, საკონტროლო-გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი დაკეტვა და გადაადგილებისთვის აუცილებელი ბიუროკრატიული დოკუმენტაციის მოთხოვნა. გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოსახლეობას ართმევს სრულფასოვანი ჯანდაცვის სერვისების მიღების, საკვები პროდუქტების, მედიკამენტების შემოტანისა და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების შესაძლებლობას.

ახალგორელების მდგომარეობა 2019 წლიდან განსაკუთრებით დამძიმდა, როდესაც დე ფაქტო ხელისუფლებამ მოსახლეობას გადაადგილებისთვის დამატებითი საშვის აღება მოსთხოვა. საშვის აღება ხშირად კორუფციული გარიგებების საგანია. დოკუმენტი მხოლოდ 1 წლით გაიცემა და ყოველ წელს მისი ფორმა იცვლება. 2020 წლიდან დე ფაქტო ადმინისტრაციაში ე.წ. შავი სიები დგება. თვითნებურად შედგენილ სიებში მოხვედრილ ახალგორელებზე გადაადგილებისთვის საჭირო საშვი არ გაიცემა. სიაში მოხვედრის შესახებ მიღებული „გადაწყვეტილება“ არ საჩივრდება და მოსახლეობისთვის უცნობია მასში მოხვედრის საფუძველი. 2023 წლის აპრილიდან საშვის აღების პროცედურა შეიცვალა, რამაც ახალგორელებს შესაძლებლობა მისცა, საშვის ასაღებად ახალგორის ან ჯავის ადმინისტრაციას მიმართონ. საშვის მისაღებად საჭიროა

პასპორტის ასლი, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ფერადი ფოტოსურათები და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁵⁴

დე ფაქტო უწყებების სასაზღვრო პოლიტიკა მოსახლეობას მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევს. თითოეული საბუთის მომზადება თანხებთანაა დაკავშირებული, დამატებითი ხარჯია საბუთების უქონლობაც, რასაც უსაბუთოდ დარჩენილი დაკავებული მოქალაქეები თავისუფლების სანაცვლოდ იხდიან. ამ ტიპის დაკავებებთან ერთად, ადგილი აქვს მოსახლეობის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე გატაცებას, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ.

სამხრეთ ოსეთის მიმართულებით გამყოფი ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია და ის საჩხერის, დუშეთის, კასპის, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებს ემიჯნება. გამყოფ ხაზზე, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 53 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული დუშეთის, გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, ონის და საჩხერის მუნიციპალიტეტების სოფლების გასწვრივ. როდესაც გამშვები პუნქტები გახსნილია, მათი გადაკვეთისთვის ადგილობრივებისგან დე ფაქტო უწყებების მიერ გაცემულ სხვადასხვა დოკუმენტებს: საშვს, ფორმა N9-ს, ე.წ. პასპორტს და ბინადრობის ნებართვას ითხოვენ.

ცხინვალის რეგიონის და ახალგორის მოსახლეობის იზოლაციამდე, საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიასა და ცხინვალის რეგიონს შორის სამი სასაზღვრო პუნქტი იყო შექმნილი, რომლებსაც ადგილობრივი სოფლების სახელებით მოიხსენიებდნენ:

- 1. სინაგური; და 2. პერევი-ქარძმანი - ორივე გადასასვლელი, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ძირითადად დაკეტილი იყო, თუმცა 2019 წლამდე გამონაკლისებიც ხდებოდა და იხსნებოდა.
- 3. ოძისი-მოსაბრუნი, იგივე „რაზდახანის“ გადასასვლელი, რომელიც მცხეთის და ახალგორის მუნიციპალიტეტებს აერთიანებს და რომელსაც, ძირითადად ახალგორელი მოსახლეობა იყენებდა.

გარდა ამისა, სხვადასხვა პერიოდში მოქმედებდა გადასასვლელები გამყოფი ხაზის სოფლებთან, მაგალითად, ახმაჯი, ნიქოზი, ზარდიაანთკარი და ა.შ., რომლებითაც არც თუ ისე ბევრი ადამიანი სარგებლობდა. ეს გადასასვლელები რომლებიც „ოფიცია-

⁵⁴ რადიო თავისუფლება, ოკუპირებულ ახალგორთან დამაკავშირებელი გზა დროებით გაიხსნა, თბილისი 2023, ხელმისაწვდომია: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/32467823.html>> [უკანასკნელად წვდომის თარიღია: 31 ივლისი 2024].

ალურ“ გადასასვლელთა სიაში არც იგულისხმებოდა და კოვიდ პანდემიამდე პერიოდულად იხსნებოდა და იკეტებოდა, ცხინვალის დე ფაქტო უშიშროების სამსახურის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საინტერესოა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთის მონაკვეთის მდგომარეობა, სადაც 90-იანი წლების ბოლოდან ფუნქციონირებდა ბაზრობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წელს ანტიკორუფციული ღონისძიებების ფარგლებში გააუქმა. აქ, გამშვები პუნქტი, როგორც მოქალაქეთა გადაადგილების საკონტროლო საშუალება, არ მოქმედებდა, თუმცა ერგნეთი, წლების განმავლობაში, ქართულ-ოსური სავაჭრო ურთიერთობების განვითარების და მხარეების დაახლოების ფუნქციის მატარებელი იყო.

2022 წლის 18 აგვისტოდან დე ფაქტო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონტროლო გამშვები პუნქტების ფუნქციონირება ნაწილობრივ აღდგა. გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის ბოლომდე ყოველი თვის 20-დან 30-მდე რიცხვებში, მთლიანობაში 10 დღე, მოქალაქეებს ოძისი-მოსაბრუნისა (რაზდახანის) და პერევი-ქარძმანის საკონტროლო გამშვები პუნქტებით სარგებლობა შეუძლიათ. გრაფიკი დღემდე შენარჩუნებულია. მიუხედავად იმისა, რომ ახალგორელებს უკვე 2 წელზე მეტია ჰპირდებიან 10-დღიანი შეზღუდვისა და საშვების გაცემასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნას, ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. 2024 წლის იანვრიდან დე ფაქტო „საპარლამენტო არჩევნების“ ფონზე, რომელიც 2024 წლის 9 ივნისს ჩატარდა, ახალგორელებისთვის საშვების მიცემა გამარტივდა, თუმცა საშვების გაცემა მაინც მერჩევით ხდება.

2.2. განათლების უფლება და მიგრაცია

ოკუპირებულ ცხინვალში ეთნიკური ქართველების გაუსაძლისი ყოფა, სადაც ადამიანები გადარჩენისთვის იბრძვიან, ამ რეგიონების ქართველებისგან დაცლის რეალურ საფრთხეს ქმნის. ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების განცდის არარსებობა, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, სისტემური კორუფცია, ყოველდღიური ყოფიდან და განათლებიდან მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად განდევნილი ქართული ენა ეთნიკური ქართველების ყოველდღიურობის არასრულ ჩამონათვალს წარმოადგენს. ოფიციალური მონაცემების არარსებობის პირობებში, ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებით, 2008 წლის ომის შემდეგ, რაიონი მოსახლეობის 90 პროცენტმა დატოვა. ის, რომ ახალგორი მოსახლეობისგან ფაქტობ-

რივად დაიცალა, კარგად ჩანს არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაში და განათლების ხარისხში.

ახალგორის რაიონში მოქმედი ექვსი სკოლიდან (იკოთში, ბოლში, კორინთაში და ბალაანში) 2024 წლის სექტემბრიდან ერთი - ბოლის სკოლა დაიხურა. ოფიციალური მიზეზი მოსწავლეების არარსებობაა. ორივე საგანმანათლებლო დაწესებულება 9 კლასიანია. სოფელ ბოლის სკოლა ახალგორის სკოლის ფილიალია, ხოლო კორინთის - სოფელ იკოთის. ბოლის სკოლა დაბიდან დაახლოებით 1,5 კილომეტრით არის დაშორებული და იმის გამო, რომ მისი მუშაობა შეენარჩუნებინათ, სკოლაში დასაქმებული პედაგოგების შვილები იქ დაბიდან დადიოდნენ. მათ 9 კლასი უკვე დაამთავრეს. მოსწავლეების არარსებობის ოფიციალური მიზეზის მიღმა, სკოლების დახურვის უკან ოკუპირებულ ახალგორში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისა და მათი ოჯახების გაუსაძლისი ყოფა დგას.

თუ ახალგორის სკოლებში სწავლა 2017⁵⁵ წლამდე ქართულ ენაზე, ქართული სასწავლო პროგრამით მიმდინარეობდა, 2017 წლის სექტემბრიდან სწავლება სრულად რუსულით ჩანაცვლდა. ახალგორში წლებანდელი დამამთავრებელი კლასი უკანასკნელი იყო, რომელიც განათლებას ქართულ ენაზე იღებდა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აღრეც წერდა, რომ სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ ახალგორში განათლების ხარისხი სერიოზულად გააუარესა. მოსწავლეებს რუსულ ენაზე სწავლა, ხოლო მასწავლებლებს საგნების რუსულ ენაზე სწავლება უჭირთ.⁵⁶

მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია და განათლება ქართულ ენაზე აქვს მიღებული. ცხინვალის დე ფაქტო უშიშროების სამსახური ამ გარემოებას ახალგორის სკოლების ეთნიკურად ქართველი და არალოიალური პედაგოგების მოსაშორებლად იყენებს. მაგალითად, 2024 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალგორის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგის გათავისუფლების მიზეზად დასახელებული რუსული ენის არცოდნა სარწმუნოდ არ მიჩნია. გათავისუფლების მიზეზი დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა იმ ფონზე, რომ პედაგოგი რუსულ ენაზე საგანს აქამდეც ასწავლიდა, მის შემცვლელად კი, „კაგებესთან“ დაახლოებული პირი დაინიშნა.

⁵⁵ ტაბულა, 2017 წელი, „ახალგორის ქართულ ენოვანი სკოლები რუსულ ენაზე და რუსული სასწავლო პროგრამით ისწავლიან“, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/599554-akhalgoris-kartulenovani-skolebi-rusul-enaze> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 25 სექტემბერი 2024].

⁵⁶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2024 წელი, „ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მიზანმიმართულად იღვენება ქართული ენა“, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1391/> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 25 სექტემბერი 2024].

სამხრეთ ოსეთში ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს ქართულ ენაზე საუბარს უშლიან. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ახალგორში არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც აღსაზრდელის მშობლებს შენიშვნა მისცეს იმის გამო, რომ მათი შვილი სხვა ბავშვებს ქართულ ენაზე ელაპარაკებოდა. ქართულ ენაზე საუბრის გამო ბაგა-ბაღის არაერთ თანამშრომელს დაემუქრნენ სამსახურიდან გათავისუფლებით.⁵⁷

2008 წლიდან ახალგორის კულტურულ ღონისძიებებზე ოსურ ცეკვებთან ერთად ქართული ცეკვები სრულდებოდა, ეს ეხებოდა სკოლის ღონისძიებებსაც და დაბაში გამართულ ღღესასწაულებსაც, თუმცა ვითარება შეიცვალა. ახალგორის საცეკვაო ანსამბლი კონცერტებზე ქართულ ცეკვებს აღარ ასრულებს. გარდა ამისა, მაღაზიის ბანერები, რომლებსაც ადრე ქართული წარწერები ჰქონდა, რუსული ბანერებით ჩანაცვლდა.

2.3. ქალთა უფლებები ცხინვალის რეგიონში

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზოგადოებაში ოჯახში ძალადობის პრობლემა ხშირად იგნორირებულია და ის იშვიათად ხდება საჯარო. რეგიონის ჩაკეტილობა და იზოლაციაში ყოფნა იქ მცხოვრები ქალებისა და ბავშვების უფლებების დარღვევაზე სათანადო რეაგირების შესაძლებლობას არ იძლევა.

ცხინვალის რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობა და არასათანადო მოპყრობა უხილავია რეგიონში გაბატონებული მენტალიტეტის გამო, რომელიც გულისხმობს, რომ ქალმა ოჯახის შესანარჩუნებლად ყველანაირ ძალადობას უნდა „გაუძლოს“. ქალები ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს. რეგიონისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ქალთა მოტაცება დაოჯახების მიზნით. მედიაში შუქდება შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა ქალები სექსუალური ძალადობის ობიექტები არიან, მაგრამ დე ფაქტო პოლიციას არ მიმართავენ. ქუჩაში შესაძლოა შეესწრო მთვრალი ქმრის მიერ ცოლის ცემის ფაქტებს, თუმცა პოლიციაში საჩივარი არ იწერება. ქალები შიშობენ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოძალადე განთავისუფლდება და მსხვერპლზე შურს იძიებს.⁵⁸

⁵⁷ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მიზანმიმართულად იდევენა ქართული ენა“, 31 იანვარი, 2024 წ, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1391/> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 30 ივლისი 2024].

⁵⁸ ეხო კავკაზა, 2018 წლის 29 ნოემბერი, „Молчание – золото?“ ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/29628794.html> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 30 ივლისი 2024].

2.4. არალეგიტიმური არჩევნები

2024 წლის 9 ივნისს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ცხინვალის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამარჯვებულად ამჟამინდელი დე ფაქტო პრეზიდენტის ალან გაგლოევის პარტია „ნიხასი“ გამოაცხადა, თუმცა ხელისუფლების ოპონენტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამარჯვება ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის პარტიამ „ერთიანი ოსეთი“ მოიპოვა. საეჭვო შედეგებით დასრულებულ არჩევნებს მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა.

„არჩევნების“ შემდეგ პოლიტიკურმა კრიზისმა ცხინვალის ცენტრში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება გამოიწვია. 2024 წლის 14 ივლისს, ნაშუადღევს, ხალხმრავალ ადგილას, ცხინვალის მე-12 საშუალო სკოლის წინ, დე ფაქტო ექსპრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვის ახლო ნათესავებს - ლევ და სერგო კაბისოვებს ცეცხლი გაუხსნეს და სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები მიაყენეს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმას მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტის ალან გაგლოევის ძმის შვილი ალიკ გაგლოევი ხელმძღვანელობდა. ორივე დაჭრილი ცხინვალის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა თავდასხმის შესახებ პოლიციაში არცერთს არ განუცხადებია. „განცხადების არარსებობის გამო“ დე-ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე არ აღძრა.⁵⁹

ოფიციალური მედიის ცნობით, ალან გაგლოევმა სამართალდამცავ უწყებებს „ინციდენტის გამოძიება“ დაავალა. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თავდასხმის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ არ აღუძრავს იმ ფორმალური მიზეზით, რომ დაზარალებულებს თავდასხმის თაობაზე პოლიციისთვის არ მიუმართავთ. თავად კაბისოვებს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებიათ.⁶⁰

⁵⁹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2024 წელი, „ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის კონტროლისთვის ყოფილი და ამჟამინდელი დე ფაქტო პრეზიდენტები იბრძვიან“.

ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1510/>

[უკანასკნელად წვდომის თარიღი 25 სექტემბერი 2024].

⁶⁰ JamNews, „«Wild Wild Tskhinval»: Брат президента Южной Осетии организовал нападение на его оппонентов,“

16 ივლისი 2024.

2.5. უკანონო დაკავებები

2023 წელს საქართველოს 31 მოქალაქის უკანონო დაკავება დადასტურდა, რაც 2022 წლის მონაცემებს (გატაცების 17 შემთხვევა) თითქმის ორჯერ აღემატება.⁶¹

უკანონოდ გატაცებული პირები სამხედრო ბაზებზე ან ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს. მათ უმრავლესობას „სახელმწიფო საზღვრის დარღვევას“ (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლი) ედავებიან. რამდენიმე შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეები მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ახლობლების სანახავად საოკუპაციო ხაზს კვეთდნენ.

საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების ყველაზე მეტი შემთხვევა გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მონაკვეთზე დაფიქსირდა, თუმცა დაკავებები ასევე მოხდა საჩხერის, ქარელის, დუშეთის, ცხინვალის, ახალგორის, თიღვის და ერედვის მუნიციპალიტეტების ზონებში. დაკავების 31 შემთხვევიდან 23 საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა, 7 კი - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში. დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით, „სასაზღვრო რეჟიმი“ 251-მა მოქალაქემ დაარღვია.⁶²

2023 წლის ბოლოს ცხინვალის ციხეში 6 საქართველოს მოქალაქე რჩებოდა. მათი შორის, ცნობილია სოსო დვალისძე, ლაშა ხეთერელის, გიორგი მელაძისა და დიმიტრი კორინთელის სახელები.

საოკუპაციო რეჟიმის განცხადებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში „საქართველოს საზღვართან“ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდა და დაკავებებიც არ მომხდარა.⁶³

⁶¹ JamNews, „საოკუპაციო რეჟიმი კიდევ უფრო დაამძიმა დაკავებების უკანონო პრაქტიკა“ - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2 აპრილი 2024, ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/ge/sakhalkho-damcvelis-angarishi/> [უკანასკნელად ნახვის თარიღია 2 აგვისტო 2024].

⁶² იქვე.

⁶³ ТАСС, „Южная Осетия считает оптимистической ситуацию на границе с Грузией“, 23 ივლისი 2024, ხელმისაწვდომია: <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/21431225> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 2 აგვისტო 2024].

2.6. სიცოცხლის უფლება – რუსული ოკუპაციის მსხვერპლები

საანგარიშო პერიოდში რუსულ ოკუპაციას მორიგი მსხვერპლი ჰყავდა, 2023 წლის 7 ნოემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს კირბალის მკვიდრი თამაზ გინტური. თამაზ გინტური რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლომისის ეკლესიის მიდამოებში მოკლეს, მისი თანასოფლელი ლევან დოთიაშვილი კი გაიტაცეს.

მოკლულის ნათესავის განცხადებით: „თავის მამის საფლავზე იყო... არ შეიძლება აქო და ესროლეს. მოკლეს. მანქანა ახლაც იქ გდია, სამგან აქვს ტყვია [ზურგში] მოხვედრილი, მანქანის სავარძელზე იყო მკვდარი, შიგ მანქანაში მოკლეს. უკნიდან არის ნასროლი, სულ დაცხრილულია მანქანა...“.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალში, 2023 წლის აგვისტოში რუსმა სამხედროებმა ქართული სალოცავის შესასვლელი კარი აჭედეს. ამ ფაქტს მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. სახელმწიფომ აგვისტოში სიტუაციის ესკალაცია ჯეროვნად არ შეაფასა და საკმარისი პრევენციული ღონისძიებები არ გაატარა. 2023 წლის 7 ნოემბერს ცხინვალის ტელევიზიამ გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, რომ თამაზ გინტური და ლევან დოთიაშვილი სალოცავის აჭედილ კარს აღებენ და ეკლესიაში შედიან.⁶⁴

თამაზ გინტურის გარდაცვალება საზოგადოებას ოფიციალური განცხადებით ეცნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტით; საქართველოს მთავრობის ოფიციალურ საიტზე ირაკლი ღარიბაშვილის სახელით განთავსდა ინფორმაცია მომხდარი ფაქტის შესახებ. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს საჭიროდ არ ჩაუთვლიათ საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობის და სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საზოგადოებისთვის პირადად, ბრიფინგის საშუალებით შეეტყობინებინათ.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი არაერთგზის მიუთითებდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ არასაკმარის პრევენციულ ღონისძიებებზე. 2023 წლის აგვისტოს ანგარიშში ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ წინა წლებთან შედარებით, ე.წ. გამყოფი ხაზის გასწვრივ, ქართული საგუშაგოების მხრიდან უსაფრთხოებაზე ზრუნვა და კონტროლი მკვეთრად შემცირებულია. გასული წლების პრაქტიკისგან განსხვავებით,

⁶⁴ Информационный выпуск «Сегодня». 7 ნოემბერი 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=jaOa3gMVEZw> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 2 ოქტომბერი, 2024].

იმ საგუშაგოების ნაწილზე, რომელიც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოინახულეს, მხოლოდ ერთი პირი მორიგეობდა. ამასთანავე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში არსებული საგუშაგოები მდებარეობს არა დასახლების ან/და სოფლის ბოლოს, არამედ სოფლის შესასვლელში, რაც მოსახლეობის დაუცველობას ზრდის და მათ ოკუპანტებთან პირისპირ ტოვებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოფლის შესასვლელში განლაგებული სამართალდამცავები მხოლოდ მედიის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შესვლას აკონტროლებენ და მათი ყურადღების მიღმა რჩება საოკუპაციო რეჟიმის უკანონო ქმედებები; რომ არსებული საგუშაგოები ფორმალური და შინაარსობრივად გაუქმებულია.⁶⁵

2014 წლიდან დღემდე რუსული საოკუპაციო ძალების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილია ხუთი მკვლელობა: დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილის, ირაკლი კვარაცხელიას, თამაზ გინტურის. ხუთივე მკვლევლობის უშუალო მონაწილეები საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია იმ რუსი ჯარისკაცების ვინაობა, რომლებმაც თამაზ გინტურს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურას მათთვის ბრალი არ წაუყენებია.

⁶⁵ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1277/>, [უკანასკნელად წვდომის თარიღია 13 აგვისტო 2024].

3. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები

3.1. შამგონა	41
3.2. ახალაბასთუმანი	42
3.3. განმუხური	42
3.4. რუხი.....	43
3.5. ხურჩა.....	43
3.6. ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება.....	44
3.7. ფახულანი	45
3.8. თრუსოს ხეობა	45
3.9. კობი	46
3.10. აბანო	46
3.11. აღმასიანი.....	46
3.12. კეტრისი	47
3.13. ზენუბანი	48
3.14. ჩიტაურები	48
3.15. უკანამხარი.....	48
3.16. ზემო მლეთა	49
3.17. ცდო.....	49
3.18. გველეთი.....	50
3.19. სნო	50

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არსებული ვითარებისა და მაცხოვრებელთა პრობლემების შესწავლის მიზნით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა 2024 წლის ივლისი-აგვისტოში წალენჯიხის, ზუგდიდის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების სოფლები - შამგონა, ახალაბასთუმანი, განმუხური, რუხი, ხურჩა, ფოცხო-ეწერის დევნილთა ჩასახლება, ფახულანის თემი, თრუსოს ხეობა, კობი, აბანო, აღმასიანი, კეტრისი, ზენუბანი, ჩიტაურები, უკანამხარი, ზემო მლეთა, ცლო, გველეთი, სნო და გადასასვლელი საგუშაგოები მოინახულეს.

ვიზიტმა დაგვარწმუნა, რომ გასულ წლებთან შედარებით, მოსახლეობის სამუშაო ძალის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია. ძირითად პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს და ამ მიზეზით ადამიანების ევროპაში მიგრაციას უჭირავს. საოკუპაციო ხაზთან არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და უსაფრთხოების პრობლემებმა, პრაქტიკულად გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების დაცლა გამოიწვია.

3.1. შამგონა

სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურსა და რუხის წყალს შორის მოქცეულ მდინარეულ კუნძულზე მდებარეობს. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 1605 ადამიანი ცხოვრობს.⁶⁶ შამგონა ინფრასტრუქტურის მხრივ მოწესრიგებული სოფელია: გზები, ცენტრალური განათება, ავტობუსის მოსაცდელეები, სკოლა, საბავშვო ბაღი და ამბულატორია კარგ მდგომარეობაშია. თუმცა, სოფელს არ აქვს აფთიაქი.

სოფლის გასასვლელში პოლიციის საგუშაგო ფუნქციონირებს. სოფლის მაცხოვრებელთა შემოსავლის წყაროს ძირითადად თხილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. მოსახლეობის ინფორმაციით, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ემიგრაციაში უპერსპექტივობისა და უმუშევრობის გამო მიდის.

რუსეთის სპეცსამსახურის მხრიდან აფხაზეთის ე.წ. საზღვრის კვებისთვის დაკავებები წინა წლებთან შედარებით შემცირებულია, თუმცა მსხვილფეხა საქონელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ხშირად ეკარგებათ. სოფლის ტერიტორიაზე დევნილთა

⁶⁶ სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/568/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtsera> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 26 აგვისტო 2024].

დასახლებები აღარაა. დევნილი ოჯახების ნაწილი საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილეს, ნაწილი კი, ზუგდიდში გადაიყვანეს. სოფელში ხშირად მოძრაობს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ავტომანქანები.

3.2. ახალაბასთუმანი

ახალაბასთუმანი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. 2014 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში 2084 ადამიანი ცხოვრობს. სოფლის გზები და ინფრასტრუქტურა შედარებით მოწესრიგებულია; სოფელი უზრუნველყოფილია ტრანსპორტით და ახალაშენებული გაჩერების მოსაცდელით; თუმცა სოფელს არ აქვს ცენტრალური გარე განათება, მათ შორის, არც სოფლის ცენტრში.

სოფლის გზებზე განთავსებული რამდენიმე ნაგვის ურნა სოფლის ფართობის და მოსახლეობის ზომის გათვალისწინებით, საკმარისი არ უნდა იყოს. მოსახლეობის შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობა და თხილის ბიზნესია.

3.3. განმუხური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციული ერთეული ზუგდიდიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში 600-ზე მეტი კომლია და 1,300 მოსახლე ცხოვრობს. გამყოფი ხაზი გალის რაიონის სოფელ ფიჩორსა და განმუხურს შორის გადის. სოფლებს შორის არსებული „გადასასვლელი პუნქტი“ 2017 წლის მარტიდან აღარ ფუნქციონირებს. „საზღვრის“ უშუალო სიახლოვეს მცხოვრები სამი ოჯახის კარ-მიდამოს ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, ნაწილი კი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.⁶⁷ განმუხურის საგუშაგოსთან რამდენიმე წუთიანი შემოწმების და „ზემდგომებთან“ შეთანხმების შემდეგ, სამართალდამცავებმა გამყოფ ხაზთან მისვლის უფლება დაგვრთეს.

ადგილობრივების განცხადებით, „საზღვრის უკანონოდ კვეთის“ პრევენციისთვის, ე.წ. საზღვრის ხაზში მოქცეულ სახლებზე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებს კამერები აქვთ დამონტაჟებული, რის გამოც სახლის მეპატრონეები უცხო ადამიანებთან საუბარს თავს არიდებენ.

⁶⁷ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ZSqrN> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 26 აგვისტო 2024].

3.4. რუხი

სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ენგურის ხიდთან მდებარეობს. რუხის გამშვებ პუნქტთან, საქართველოს პოლიცია აფხაზეთში გადასვლა/გადმოსვლის მსურველ პირებს და მათ საიდენტიფიკაციო მონაცემებს ამოწმებს. ე.წ. გამშვებ პუნქტზე ტვირთის გადატანა მკაცრად კონტროლდება და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის ნებართვას საჭიროებს.

ენგურის ხიდზე განთავსებულ საქართველოს პოლიციის საგუშაგოზე გვითხრეს, რომ აფხაზეთიდან კვირაში დაახლოებით 2000-მდე ადამიანი გადმოდის, მათ შორის, 40-მდე ეთნიკურად აფხაზი. აფხაზების გადმოსვლის ძირითადი მიზანი რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამედიცინო მომსახურების მიღებაა.

რუხში არ არის აფთიაქი, არ ფუნქციონირებს ე.წ. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც აფხაზეთის მკვიდრთათვის თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე ვაჭრობის გამარტივებისთვის აშენდა; მაღაზიები დაკეტილი და მიტოვებულია.

3.5. ხურჩა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში 160 კომლი (535 ადამიანი) ცხოვრობს. 2017 წლამდე აფხაზეთ-სამეგრელოს საოკუპაციო ხაზთან არსებული ოთხი გამშვები პუნქტიდან ერთ-ერთი ხურჩა-ნაბაკვის გადასასვლელი იყო. პირობით საზღვარს ყოველდღიურად ასობით ადამიანი კვეთდა, რაც სოფელს ეკონომიკურად აქტიურ ზონად აქცევდა. 2017 წელს გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ სოფელი პრაქტიკულად იზოლაციაში მოაქცია. დაიხურა ადგილობრივი მცირე ბიზნესები, კაფე და სწრაფი კვების ობიექტები. უმუშევრობამ სოფლიდან სამუშაო ძალის გადინება გამოიწვია. ახალგაზრდობის უმრავლესობა სოფლიდან წასულია; მოსახლეობის 70% -ზე მეტი 40 წელს გადაცილებულია.

ამჟამად სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანით მიღებული სარგებელია. სოფელში პრობლემას წარმოადგენს ცენტრალური გარე განათება. იმის მიუხედავად, რომ სოფელმა პრიორიტეტულად მიიჩნია გარე განათების დამონტაჟება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა სკვერის კეთილმოწყობას მოხმარდა, რაც, მოსახლეობისთვის გამოუსადეგარია. ადგილობრივების განცხადებით, სოფლის რწმუნებულს გარე გან-

ათების დამონტაჟების თხოვნით არაერთხელ მიმართეს, მაგრამ, დაპირების მიუხედავად, პრობლემა მოუგვარებელია. წინასაარჩევნო დაპირებებში ტრენაჟორების დამონტაჟებაც შედიოდა, თუმცა არჩევნების შემდეგ აღნიშნული საკითხით არავინ დაინტერესებულა. სოფელში აქტუალურია „პარტიული დასაქმება“, რაც, როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, კადრების ხელოვნურად „გაბერვაში“ გამოიხატება.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფლისთვის მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტაში ე.წ. კანონიერი ქურდებიც იღებენ მონაწილეობას.

სოფელს არ აქვს საშუალო სკოლა, რის გამოც ბავშვები სოფელ კოკის სკოლაში დადიან. სოფლის ახლადგახსნილ ამბულატორიაში ექიმები კვირის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე დღეს მორიგეობენ მეზობელი სოფლიდან. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ზუგდიდიდან მოდის, რაც მომსახურების სისწრაფეს აფერხებს. სოფელს ემსახურება ტრანსპორტი, მაგრამ წლების განმავლობაში დაწესებული შეზღუდვა, რომლითაც ავტობუსში ჯამში სამზე მეტი ტომრის ატანა იკრძალება, მოსახლეობას უკიდურესად დიდ პრობლემას უქმნის. სოფლის ხანში შესული მოსახლეობა ზუგდიდში საყოფაცხოვრებო ნივთების და პროდუქტის მოსამარაგებლად თუ თავად ვერ მიდის, პროდუქტის წამოღებას მეზობელს სთხოვს. ტვირთის ატანის შეზღუდვა კი სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნით.

3.6. ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება

ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 22 კილომეტრში მდებარეობს. ჩასახლება გარე სამყაროს მოწყვეტილია.

ერთი წლის შემდეგ ფოცხო-ეწერის დასახლებაში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. პირიქით, თვალშისაცემია დასახლების მაცხოვრებელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც სავარაუდოდ, გაუსაძლისი პირობებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამოძახილია.

დასახლებაში სოციალურად დაუცველ ადამიანებს და დევნილებს უმძიმეს, სათანადო საცხოვრებლის უფლების უგულვებელყოფის პირობებში უწევთ ცხოვრება. ფოცხო-ეწერში წყალი და ელექტროენერგია გრაფიკითაა, ბუნებრივი აირი საცხოვრებელ კორპუსებამდე მიყვანილია, თუმცა მოსახლეობას არ მიეწოდება. დასახ-

ლებაში ისევ არ ფუნქციონირებს აფთიაქი. ამბულატორია კვირაში რამდენიმე დღე მუშაობს. არ არის ცენტრალური გარე განათება. დევნილების საცხოვრებელი კორპუსები, გზები და ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. საცხოვრებელი კორპუსების დიდი ნაწილი საცხოვრებლად უვარგისია.

3.7. ფახულანი

ფახულანი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელი გალის რეგიონის სოფელ საბერიოს ესაზღვრება. ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი საბერიო-ფახულანის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარეობს. სოფლის შესასვლელთან ქართული პოლიციის საგუშაგოა განთავსებული, სადაც შემსვლელთა ვინაობას ამოწმებენ.

ე.წ. საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ახლოს, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ნაწილში დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. ტვირთის გადატანის შემთხვევაში იგივე წესები მოქმედებს, როგორც რუხის „გამშვებ პუნქტზე“. აფხაზეთის მხარეს პირადი ნივთების შემოწმება ზედაპირული დათვალიერებით ხდება, მფლობელის თანდასწრებით.

სოფელში გზის საფარი დაზიანებულია. თუმცა, ადგილობრივების განცხადებით, სოფლის მთავარი პრობლემა სასმელი და სარწყავი წლის უკიდურესი დეფიციტია, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ჭები შრება და მოსახლეობა იძულებული ხდება, სასმელი წყალი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარე წყაროებიდან მოიმარაგოს.

3.8. თრუსოს ხეობა

თრუსოს ხეობა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხონის ქედს შორის მდებარეობს. თრუსოს ხეობიდან სოფელ კობამდე მანძილი 25 კმ-ია. ხეობაში მრავლადაა ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ნასოფლარები, მინერალური წყლებიდან გამოლექილი ტრავერტინი, მყინვარული და მდინარეული ნაფენები.

ხეობის სოფლებს მუდმივი მაცხოვრებელი თითქმის არ ჰყავთ; შესაბამისად, სოფლებს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი და ხანდახან, ელექტროენერგიაც. პრობლემა ურია ქონების დაკანონების საკითხი, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქარ-

თველოს ომის შემდეგ; სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები სანახევროდაა გაკეთებული; დიდია ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისა და ობიექტების ჩამონგრევის საფრთხე. პრობლემურია თანამედროვე ინფრასტრუქტურის საკითხიც - ხეობის მიმართ ტურისტების დიდი დაინტერესების ფონზე, ადგილზე არაა ელემენტარული პირობები (ღამის გასათევია, კვების ობიექტები), რაც ხეობას, როგორც ტურისტულ ზონას, კიდევ უფრო საინტერესოს და ცნობადს გახდიდა.

3.9. კობი

სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. სოფელი მიტოვებულია. საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა კი - დაზიანებული. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 3 კაცი ცხოვრობდა. ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მონაცემებით, სოფელში დღეს მხოლოდ სოფლის რწმუნებულის ოჯახი ცხოვრობს.

3.10. აბანო

სოფელი აბანო მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, თრუსოს ხეობაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელში უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დგას, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭიროებს აღდგენა-კონსერვაციას საჭიროებს.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 3 ადამიანი ცხოვრობდა. თუმცა წლევანდელი მონაცემებით, სოფელი სრულიად დაცლილია. ზამთარში მხოლოდ ბერები რჩებიან და თოვლში ბორნით გადაადგილდებიან. მათთვის პროდუქტები მესაზღვრეებს ჩააქვთ ვერტმფრენით. თრუსოს ხეობის სეზონურად მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, აბანოში მცხოვრებ მონასტრის მკვიდრთ ელექტროენერგია მუდმივად მიეწოდებათ.

3.11. ალმასიანი

სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კობის თემში მდებარეობს, მდინარე თერგის ნაპირზე, ზღვის დონიდან 1960 მეტრზე. იგი

სტეფანწმინდიდან დაშორებულია 18 კილომეტრით. სოფელში, ბოლო მონაცემებით, 22 ადამიანი ცხოვრობს.

ადგილობრივების განცხადებით, ზამთარში წყალი არ მიეწოდებათ და არ აქვთ ინტერნეტი. თუმცა, ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან. ადგილობრივების განცხადებით, ათ წელზე მეტია ადგილობრივი თვითმმართველობა კუთვნილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას ჰპირდება, თუმცა ყოველ ჯერზე ახალი დოკუმენტების მოთხოვნის გამო რეგისტრაციის პროცესი ხელოვნურად ჭიანურდება. მოსახლეობის ვარაუდით, ხელისუფლება შესაძლოა თავად იყოს დაინტერესებული მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვებით. ადგილობრივებს უჭირთ სხვა ახსნა მოუძებნონ კუთვნილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაზე დაუსაბუთებელ უარს ყველა საჭირო დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, უკვე ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

3.12. კეტიხი

ნასოფლარი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (კობის თემი), მდებარეობს თრუსოს ხეობაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე. კეტრისში ზაფხულობით მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს, რომელსაც წლებია უარს უუბნებიან საკუთრების დარეგისტრირებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის განცხადებით, ოჯახის კუთვნილი სახლი და ნაკვეთი დაცულ ტერიტორიებში ექცევა, რაც სარწმუნოდ არ გამოიყურება იმ ფონზე, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, სოფელ კეტრისში (ქეთერისი) დაცული ტერიტორიების სიაში მხოლოდ მინერალური ვოკლუზის ბუნების ძეგლია შესული. ოჯახს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია მაშინ, როდესაც ელექტროგაყვანილობის ბოძი უშუალოდ სახლის წინ დგას. ოჯახისგან განსხვავებით, დენი გაყვანილია აბანოს დედათა მონასტრამდე და მესაზღვრეების ბაზამდე.

ყაზბეგის მხარე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სრულად დაცლილია მოსახლეობისგან და ცივილიზაციისგან, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა კი გაპარტახების პირასაა. რამდენიმე ადგილობრივი მოსახლე ელექტროენერგიის არქონის გამო, ხელისუფლებისაგან მზის პანელების დამონტაჟებას ითხოვს.

წინა წლებისგან განსხვავებით, სოფელში მობილური კავშირის პრობლემა მოგვარებულია.

3.13. ზენუბანი

სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში, ჭართლის თემის შემადგენლობაში, ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს. დუშეთიდან დაშორებულია 40 კილომეტრით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით, სოფელში 9 ადამიანი ცხოვრობდა, ამაჟამად კი 5 ოჯახი ცხოვრობს. სოფელს ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი მიეწოდება. სხვა სოფლებისგან განსხვავებით, ადგილობრივებს მიწების ნაკვეთები დარეგისტრირებული აქვთ. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო მესაქონლეობაა.

მაცხოვრებლების მთავარი გამოწვევა გარე სამყაროსთან კავშირია. მეზობელ სოფლებთან დამაკავშირებელი გზები უკიდურესად დაზიანებულია. სოფელს არ ემსახურება ტრანსპორტი. ამის გამო ადგილობრივები მეზობელ სოფლებში ფეხით მიდიან. იმის გათვალისწინებით, რომ სოფელს არ აქვს სკოლა, ბაღი და ამბულატორია, ტრანსპორტის არქონა და მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა უკიდურესი გამოწვევაა. ადგილობრივებს ძირითადი საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის ჭართალში ჩასვლა უწევთ. სოფელში არაა გარე განათება და ნაგვის ურნები.

3.14. ჩიტაურები

სოფელი ჩიტაურები დუშეთის მუნიციპალიტეტში, დუშეთიდან 34 კილომეტრში მდებარეობს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს სოფელში 10 ადამიანი ცხოვრობდა, ახლა ორი ოჯახი ცხოვრობს. სოფელს მიეწოდება ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი.

სოფელს არ ემსახურება ტრანსპორტი, გზები მოუწესრიგებელია და ადგილობრივებს, სოფელ ზენუბანის მაცხოვრებლების მსგავსად, საჭიროებებისთვის თემის ცენტრში ფეხით ჩასვლა უწევთ.

3.15. უპანამხარი

სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფასანაურის თემში. დუშეთიდან დაშორებულია 56 კილომეტრით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სოფელში 23 სული ცხოვრობდა.

სოფელს არ აქვს არც ამბულატორია, არც აფთიაქი. უფრო მეტიც, სოფელში არაა მაღაზია. ამიტომ ადგილობრივები ძირითადი საჭიროებებისთვის ფასანაურში

საკუთარი ავტომობილებით ან სამარშრუტო ტაქსით ჩადიან. სოფლის მოსახლეობას მიეწოდება ელექტროენერგია, თუმცა სოფელი გაზიფიცირებული არ არის; მოუწესრიგებელია გზა.

3.16. ზემო მლეთა

სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქვეშეთის თემის შემადგენლობაში შედის, ქალაქ დუშეთიდან დაშორებულია 70 კილომეტრით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სოფელში 99 ადამიანი ცხოვრობდა. დღეის მდგომარეობით, სოფელში რვა ოჯახი ცხოვრობს.

ზემო მლეთაში დაზიანებულია სხვა სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდეები; დაზიანებულია სოფელში მისასვლელი გზაც. სოფელს არ აქვს აფთიაქი და ამბულატორია. იმის გამო, რომ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი და სკოლა, ბაღის და სკოლის ასაკის ბავშვებს გუდაურში უწევთ სიარული. მოსახლეობის ძირითადი ნაწილიც გუდაურშია დასაქმებული. მოსახლეობა პრობლემებს აწყდება სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესში.

სოფელში ხშირად აქტიურდება მეწყრული პროცესები; ზემო მლეთა ზამთარში ზვავ-საშიშროების წინაშე დგას, რის თაობაზეც, ადგილობრივების განცხადებით, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა. წყალდიდობისას სოფელი უხარისხოდ გაკეთებული ჯებირების გამო იტბორება.

ადგილობრივები სოფლის მიმდებარედ ხშირად ხედავენ რუსულ დრონებს, რომლებიც პერიოდულად დაფრინავენ პატრულირების მიზნით.

3.17. ცდო

სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სტეფანწმინდის თემში, სტეფანწმინდიდან დაშორებულია 6 კილომეტრით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფელში 17 ადამიანი ცხოვრობდა, დღეის მდგომარეობით კი მხოლოდ 3.

სოფელს მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. სოფლის მაცხოვრებლებს დარეგისტრირებული აქვთ მიწები, თუმცა პრობლემად რჩება მოუწესრიგებელი გზა. სოფელში არ არის მაღაზია, ამბულატორია და აფთიაქი - აღნიშნული საჭიროებებისთვის ადგილობრივები ყაზბეგში დადიან. სოფელს არ ემსახურება ტრანსპორტი. სოფელში არ არის გარე განათება და ნაგვის ურნები.

3.18. გველი

სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სტეფანწმინდის თემში - სტეფანწმინდიდან დაშორებულია 9 კილომეტრით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ისევე, როგორც დღეს, სოფელში 2 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი გაზიფიცირებულია, შეყვანილია ელექტროენერჯია და მოწყობილია გარე განათების სისტემები.

სოფელში პრობლემურია მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილია, სოფლის გზები სრულად ამორტიზებულია და გადაადგილება საფრთხის შემცველია. ვიწრო ბილიკები კი სიცოცხლისთვის საშიშია. ადგილობრივი მაცხოვრებლის განცხადებით, 2024 წელს ერთი ტურისტი კლდიდან გადავარდა და დაიღუპა.

3.19. სნო

სნოს თემი (აერთიანებს სოფლებს ართხმო, აჩხოტი, ახალციხე, კარკუჩა, ქოსელი და ჯუთა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მდინარე სნოსწყლის ხეობაში; სტეფანწმინდიდან დაშორებულია 8 კილომეტრით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, თემში 263 ადამიანი ცხოვრობდა.

თემის სოფლებს მიეწოდებათ ელექტროენერჯია და წყალი; დამონტაჟებულია გარე განათება; გზების უმეტესი ნაწილი მოწესრიგებულია.

სნოს მაცხოვრებლებისთვის მთავარი პრობლემა მდინარე სნოს წყლის შენაკადზე ჰესის აშენების გეგმას უკავშირდება.⁶⁸ აღნიშნულ ტერიტორიაზე თოვლის დნობის პერიოდში მეწყრული პროცესები ისედაც აქტიურდება და მოსახლეობა შიშობს, რომ ჰესის მოწყობის სამუშაოებმა შესაძლოა, გამოიწვიოს მეწყრული და ღვარცოფული შეუქცევადი პროცესები. ადგილობრივები წუხან, რომ მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, ინვესტორმა ჰესი შეიძლება მაინც აშენოს. ჰესის მოწინააღმდეგეებმა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს პეტიცია წარუდგინეს, რომელსაც 243 ადამიანი აწერდა ხელს.⁶⁹

⁶⁸ აი ფაქტი, 2024 წელი, „ვინ აპირებს სნოში ჰესის აშენებას“, ხელმისაწვდომია: <https://ifact.ge/shinohesi/> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 26 სექტემბერი 2024].

⁶⁹ სოფელი სნოს მკვიდრთა მიმართვა პეტიცია სოფელში ჰიდრო-ელექტროსადგურის ადგილის თაობაზე; ხელმისაწვდომია: <https://docs.google.com/document/d/10yIT14zoc5dhGsX8ImY8sPoSP4VbGrY/edit> [უკანასკნელად წვდომის თარიღია 26 სექტემბერი 2024].